



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო
დოქტორი ჰაინერ ალვარტი
გერმანიის ფედერალური
სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქტორი აქსელ
ბოეტციხერი
პროფ. დოქტორი, საპატიო
დოქტორი ოთარ გამყრელიძე
საქართველოს უზენაესი
სასამართლოს თავმჯდომარე,
პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
გერმანიის ფედერალური
სასამართლოს ყოფილი ვიცე
პრეზიდენტი, დოქტორი
ბურკჰარდ იენკე
საქართველოს უზენაესი
სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქტორი
დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მოსამართლე,
პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა
პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი
პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი
პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასისტენტი ანრი ოხანაშვილი
(თსუ), LL.M. (იენა)

შინაარსი

წინასიტყვაობა

1

სტატიები

იარაღის გამოყენებით განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე,
პროფესორი, სამართლის დოქ. *დავით სულაქველიძე*,
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

3

შეცდომა ქმედების შემაღენლოვის დამამძიმებელ გარემოებებში (განზრახ მკვლელობის უმართლობასთან მიმართებით)

თბილისის საქალაქო სასამართლის მოსამართლე,
ასისტენტი-პროფესორი, სამართლის დოქ. *ლავრენტი მალაქელიძე*,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

12

გადანწყვეტილებების კომენტარები

გერმანული სისხლის სამართლის გამოყენება ინტარნეტში

გერმანიის ფედერალური სასამართლო (BGH), 2015 წლის 19 აგვისტოს
გადანწყვეტილება – სასამართლო აქტი 3 StR 88/14, გამოქვეყნებულია
ჟურნალში: „ახალი ჟურნალი სისხლის სამართლისთვის“ –
Neue Zeitschrift für Strafrecht (NStZ) 2015, 81.

მონვეული დოცენტი, სამართლის დოქ. *ტობიას რაინბახერი*,
ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი

18

სხვადასხვა

ამსრულელობა და თანამონაწილეობა, ასევე იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოსა და გერმანიაში

თსუ-სა და კიოლნის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო (LL.M.)
პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომების მიმოხილვა
პროფესორი, სამართლის დოქ. *მარტინ პაულ ვასმერი*,
კიოლნის უნივერსიტეტი

29

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიოლნის უნივერსიტეტის გერმანული სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამართლის დოქ. *კარმენ შმიდტი* / პროფესორი,
სამართლის დოქ. *მარტინ პაულ ვასმერი*, კიოლნის უნივერსიტეტი

34



სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეჯიის
თავმჯდომარე ყოფილი მოსამართლე, დოქ.
ბერნდ ასბროკი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ზესტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტტიხერი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. ნინო გვენეტაძე
ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლავრენტი მაღლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)
დოქ. ანეკე პეტცუე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
საზღვარგარეთისა და სართაშორისო სისხლის
სამართლის ინსტიტუტში, დოქ. იონა რინჩენაუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
ტერეზა ტალჰამერი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მოსამართლე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასისტენტი მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.
(მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

ჟურნალის მესამე გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:
თამარი ასათიანი LL.M. (პასაუ)
ასისტენტი თამარ ბერიშვილი LL.M. (კიოლნი)
ხათია თანდილაშვილი LL.M. (პოტსდამი)
ანი ნასრაშვილი LL.M. (კიოლნი)
სამართალმცოდნეობის კანდიდატი მარია ტურავა

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

ლექტორი სისხლის სამართალში იზა კელენჯერიძე
ასისტენტი მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)
ასისტენტი-პროფესორი, სამართლის დოქ. თემურ ცქიტიშვილი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

დიპლომირებული იურისტი სიარდ ზეგერი
სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა
სამართალმცოდნეობის ასესორი მარია შუტცე

მესამე გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

წინასიტყვაობა*

ძვირფასო მკითხველო,

მოხარულები ვართ, წარმოგიდგინოთ ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალის („DGStZ“) 2016 წლის მესამე ელექტრონული გამოცემა, რომელიც, ამასთანავე, არის წლის ბოლო გამოცემა. ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენმა დიდმა ძალისხმევამ, 2016 წელს თქვენთვის სამი გამოცემა მოგვენოდებინა, შედეგი გამოიღო. მესამე გამოცემის წაკითხვა და ჩამოტვირთვა ქართულ და გერმანულ ენებზე შეგიძლიათ კვლავ უფასოდ, ნებისმიერ ადგილას ჩვენი ჟურნალის ელექტრონული გვერდის – www.dgstz.de – მეშვეობით.

თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი ჟურნალის არსებობა ელექტრონულ სივრცეში სულ რაღაც ერთ წელს ითვლის. ის დაფუძნდა 2015 წლის ოქტომბერში, რომლის პირველი გამოცემა 2016 წლის აპრილში გამოქვეყნდა, ხოლო მეორე გამოცემა კი იმავე წლის აგვისტოში.

შესაბამისად, თქვენ ამ ერთი წლის მანძილზე გქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდით ჩვენი ჟურნალის ორ გამოცემას, რომლებშიც სტატიები ეთმობოდა, როგორც ქართული და გერმანული კლასიკური სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის საკითხებს, ასევე, ამ ქვეყნების სისხლის სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევების ზოგიერთ ასპექტს.

რაც შეეხება ჩვენი ჟურნალის მე-3 გამოცემას, იგი ძირითადად ეთმობა ქართული და გერმანული კლასიკური სისხლის სამართლის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს. ჟურნალი სთავაზობს ქართულ და გერმანულენოვან მკითხველს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის, დავით სულაქველიძის ძალზედ საინტერესო სტატიას, რომელიც ეხება იარაღის გამოყენებით განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების კვალიფიკაციის ზოგიერთ საკითხს. ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სისხლის სამართლის დოგმატიკისათვის, არამედ სასამართლო პრაქტიკისთვისაც. ჩვენი მკითხველისათვის, ასევე, საინტერესო იქნება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძის სტატია, რომელშიც ავტორი განიხილავს ქმედების შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებებში (განზრახ მკვლელობის უმართლობასთან მიმართებით) დაშვებული შეცდომის პრობლემატიკას. აღნიშნული საკითხი დიდი დისკუსიის საგანია როგორც ქართულ, ასევე, გერმანულ სისხლის სამართლაში, დოგმატური და პრაქტიკული თვალსაზრისით.

წინამდებარე გამოცემაში, რუბრიკაში – „სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები“, გამოქვეყნებულია ტობიას რაინბახერის კომენტარი გერმანიის ფედერალური სასამართლოს ერთ-ერთ საინტერესო გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეხება გერმანული სისხლის სამართლის გამოყენებას საზღვარგარეთიდან ინტერნეტ სივრცეში ისეთი მასალის განთავსებისათვის, რომელიც, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, შეიცავს ანტიკონსტიტუციური ორგანიზაციისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ვინაიდან დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრის საკითხი მედიის სისხლის სამართალში, როგორც ქართველი, ასევე, განსაკუთრებით გერმანელი იურისტებისათვის სულ უფრო ცხოველი კამათის საგანი ხდება, ვფიქრობთ, ამ სტატიისადმი მკითხველის ინტერესი დიდი იქნება.

ჟურნალის გამოცემის ბოლო რუბრიკა ეთმობა ორ პუბლიკაციას, რომელთაგან ერთი – მარტინ პაულ ვასმერის სტატია ეთმობა ამსრულელობისა და თანამონაწილეობის, ასევე, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის შედარებით ანალიზის ჩრჩილში. ავტორი სტატიაში ძირითადად ანალიზებს იმ შედარებით-სამართლებრივ სამაგისტრო ნაშრომებს, რომლებიც დაწერეს ქართველმა სტუდენტებმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კიოლის უნივერსიტეტს შორის არსებულ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში სწავლის ფარგლებში. რაც შეეხება მეორე პუბლიკაციას, რომლის თანაავტორები არიან კარმენ შმიდტი და მარტინ პაულ ვასმერი, ის ეხება აქ აღნიშნული უნივერსიტეტების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აღწერილობას, რომლითაც ნათლად დასტურდება ქართულ-გერმანული მჭიდრო საუნივერსიტეტო ურთიერთთანამშრომლობა იურიდიულ სფეროში.

* წინასიტყვაობა ქართულად თარგმნა „DGStZ“-ის მთავარმა რედაქტორმა, ასისტენტმა ანრი ოხანაშვილმა (თსუ).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მიზანი – ხელი შევუწყოთ ქართულ-გერმანული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას სისხლის სამართლის სფეროში, დავძლიოთ სისხლის სამართლის მეცნიერებაში მიმდინარე გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება საქართველოს გერმანულ და ევროპულ, შესაბამისად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესს და საბოლოოდ ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაციას – კვლავ უცვლელია! ამ მიზნისაკენ სწრაფვა კიდევ უფრო გაზრდილია და დიდ მნიშვნელობას იძენს იმ პროცესების ფონზე, რომლებშიც დღეს საქართველო იმყოფება. აქ იგულისხმება უპირველეს ყოვლისა, ზოგადად ქართულ-გერმანული ბილატერალური თანამშრომლობა, რომელიც მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობით არ შემოიფარგლება, არამედ სხვა მნიშვნელოვან სფეროებსაც მოიცავს. აღნიშნული კი ზოგადად საქართველო-გერმანიის ურთიერთობას, უფრო სწორად, მეგობრობას კიდევ უფრო აღრმავებს. ამის დასტურია ის, რომ 2017 წელი საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულია საქართველო-გერმანიის მეგობრობის წლად. აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წელს აღინიშნება საქართველოში გერმანული დასახლებების 200 წლისთავი და ასევე, საქართველოსა და გერმანიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავი. ამასთანავე, აღსანიშნავია საქართველოს ევროპასთან სწრაფი ინსტიტუციური დაახლოების პროცესი, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას, მათ შორის სისხლის სამართლის სფეროში. გათვალისწინებულია როგორც ევროკავშირის ინსტიტუციებთან საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში, ასევე ევროპული სამართლებრივი აქტების იმპლემენტაცია და ამით ქართული სისხ-

ლის სამართლის ჰარმონიზაცია. ამ ყველაფრის ფონზე ძალიან მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ჩვენს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც ამ პროცესების სწრაფ განვითარებას ქართულ-გერმანული აკადემიური ურთიერთგაცვლით უწყობს ხელს.

და ბოლოს, ჩვენ, გამომცემლებს, გვსურს გულითადი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ პირს, ვინც წვლილი შეიტანა მესამე გამოცემის გამოქვეყნებაში და რომლებიც სამომავლოდაც იქნებიან ამ პროცესში ჩართულნი. ამ გამოცემის სტატიების ავტორებთან და სარედაქციო ჯგუფთან ერთად, განსაკუთრებით მთარგმნელობით საქმიანობაში ჩართულ სამუშაო ჯგუფის წევრებთან და ჟურნალის მთავარ რედაქტორ ანრი ოხანაშვილთან ერთად, რომელმაც თავისი დაუღალავი შრომით შესაძლებელი გახადა მესამე გამოცემის გამოქვეყნება, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი („IRZ“), რომელიც პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს. აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დიდი მხარდაჭერა.

ყველას გიხდით დიდ მადლობას!

ძვირფასო მკითხველო, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, რომ ჟურნალის მესამე გამოცემასთან ერთად შეაფასოთ ჩვენი ერთწლიანი მუშაობა და შესაბამისად, ჟურნალის სამეცნიერო ხარისხი და მისი მნიშვნელობა.

მოხარულები ვიქნებით, თუ ფიქრობთ, რომ ჟურნალმა თქვენი მოლოდინი გაამართლა.

მადლობელი ვიქნებით თქვენგან მოწოდებული შემოთავაზებებისათვის.

ჟურნალის გამომცემლები

იარაღის გამოყენებით განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფესორი, სამართლის დოქ. დავით სულაქველიძე, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

I. შესავალი

ქართული სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არსებულ იმ ძალადობრივი ქმედებების შემადგენლობათა გაცნობამ, სადაც ძალადობა ან ძალადობის მუქარა სხვა დანაშაულებრივი მიზნის მიღწევის საშუალებად გამოიყენება, გვიჩვენა, რომ ნებისმიერი მათგანის ჩადენა შესაძლებელია ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის გამოყენებითაც, მიუხედავად იმისა, მათი ძირითადი ან კვალიფიციური შემადგენლობის კანონით განსაზღვრულ ნიშნებში ფიგურირებს თუ არა იარაღზე მითითება. როცა საუბარია ძალადობაზე, რომლის გამოყენებითაც ხორციელდება ესა თუ ის ქმედება, ცხადია, მასში იგულისხმება როგორც პირდაპირი ფიზიკური ძალადობა, ასევე ფსიქიკური ძალადობაც. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოიხატებოდეს დაზარალებულის მიმართ შანტაჟის განხორციელებაშიც და ფიზიკური

* წინამდებარე ნაშრომის წინამორბედ სტატიამი (იხ. *სულაქველიძე, დავით*, არანამდვილი (უვარგისი) იარაღით განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ძალადობის საკითხის გარკვევისათვის სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მე-2 გამოცემა, 2016, 15-22 (სტატიის ქართული ვერსია), სტატიის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ელექტრონული ჟურნალიდან – www.dgstz.de), რომელშიც მიმოხილული იყო ზოგადად ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის კერძო ნაწილში წარმოდგენილი ის დელიქტები, რომელთა ჩადენა დაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო ძალადობის გამოყენებასთან ან ამ უკანასკნელის მუქარასთან, უკვე იყო დასმული შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: პირველი, აღნიშნული ძალადობრივი ქმედებების კვალიფიკაციაზე რა გავლენა შეიძლება იქონიოს მათმა ჩადენამ იარაღით, მათ შორის არანამდვილი (უვარგისი) იარაღის გამოყენებით, და მეორე, როგორი სამართლებრივი კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს არანამდვილი (უვარგისი) იარაღით განხორციელებული ამგვარი მართლსაწინააღმდეგო ძალადობის მოგერიებასა და ასეთი მოგერიებით დამდგარ შედეგებს. იმავე სტატიაში ეს საკითხები განსაზღვრულ იქნა, როგორც შემდგომი კვლევის საგანი, ხოლო კვლევის ამ ეტაპზე ჩემს მიერ განხილული იქნება მხოლოდ პირველი მათგანი ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე.

ძალადობის გამოყენების მუქარაშიც, მათ შორის ისეთი ძალადობისა, რომელიც არა უბრალოდ ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის საშუალების ან ხერხის სახით გვევლინება, არამედ დამოუკიდებელ დანაშაულსაც კი წარმოადგენს, მაგალითად, თავისუფლების უკანონო აღკვეთის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის¹ 143-ე მუხლი), მძევლად ხელში ჩაგდების (საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლი), წამების მუქარის (საქართველოს სსკ-ის 144² მუხლი) სახით. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ჩამოთვლილთაგან რომელიმე მათგანს თან ახლდეს ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის დემონსტრირებაც, ანუ ხორციელდებოდეს ორმაგი მუქარა ამა თუ იმ ძირითადი დანაშაულებრივი ქმედების საბოლოო მიზნის მისაღწევად. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ასეთი შესაძლებელი შემთხვევა: ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა ანუ მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან, ჩადენილი ძალადობის მუქარით (საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რაც სავსებით შესაძლებელია, გამოიხატებოდეს ჟურნალისტის მიმართ წამების მუქარაშიც, რასაც თან ახლდეს ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის დემონსტრირება ანდა არანამდვილი იარაღის გამოყენება იმავე მიზნით.

როდესაც ვსაუბრობთ იმ საკითხზე, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ძალადობრივი ქმედებების კვალიფიკაციაზე მათმა ჩადენამ იარაღის გამოყენებით, აგრეთვე, ასეთ შემთხვევაში ნამდვილი იარაღის ჩანაცვლებამ არანამდვილი ან უვარგისი იარაღით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული შესაძლო გავლენების ხასიათი ვერ გაირკვევა თვით ამ ქმედებების შემადგენლობის თავისებურებების გაუთვალისწინებლად. რა თქმა უნდა, აქ ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ

¹ სისხლის სამართლის კოდექსი ტექსტში შემოკლებულია, როგორც სსკ.

გარემოებას – ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო ფორმულირებიდან გამომდინარე, მისი არსებობა აუცილებლად ითხოვს თუ არა მის განხორციელებას იარაღის გამოყენებით, ანდა ეს უკანასკნელი ხომ არ არის წარმოდგენილი, როგორც ქმედების განხორციელების ალტერნატიული გზა. საქართველოს სსკ-ის კერძო ნაწილში წარმოდგენილი ძალადობრივი დელიქტების დიდი უმრავლესობა შინაარსობრივად ისეთი ზოგადი განსაზღვრებითაა ჩამოყალიბებული, რომ მასში იგულისხმება მათი ჩადენის შესაძლებლობა, როგორც იარაღის მეშვეობით, ისე იარაღის გარეშეც. იმ ძალადობრივი ქმედებების კვალიფიკაციაზე, რომელთა ძირითადი შემადგენლობების საკანონმდებლო განსაზღვრებაში პირდაპირაა მითითებული იარაღზე, როგორც აუცილებელ ნიშანზე, არსებითი გავლენა ექნება დამნაშავეს მიერ არანამდვილი ან აშკარად უვარგისი იარაღის გამოყენებას (ამ უკანასკნელთა შორის, ცხადია, ვერ ვიგულისხმებთ საქართველოს სსკ-ის მე-20 მუხლით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი, თავისი უმეცრების გამო, დანაშაულის ჩადენას ცდილობს აბსოლუტურად უვარგისი საშუალებით).

ვფიქრობ, რომ ზემოაღნიშნულ გარემოებებსა და პირობებს სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აგრეთვე არანამდვილი (უვარგისი) იარაღით განხორციელებული ძალადობის მოგერიებისა და მისი ფაქტობრივი შედეგების სამართლებრივი შეფასებისას, რადგან მოძალადის მიერ გამოყენებული ხერხები და საშუალებები, თავის მხრივ, განაპირობებს მომგერიებელი პირის მოქმედების ხასიათს. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის მნიშვნელოვანი მომენტიც, რომ მსგავს ვითარებაში, წმინდა ობიექტურ გარემოებებთან ერთად, არსებით როლს თამაშობს სუბიექტური გარემოებებიც. აღნიშნული ხასიათის ხელყოფის ჩამდენისა და ამ ხელყოფის მომგერიებლის მიერ ობიექტური გარემოებების ადეკვატურად აღქმა და საამისოდ საჭირო სუბიექტური შესაძლებლობები, აგრეთვე შემთხვევითობის ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა რადიკალურად შეცვალოს მოვლენის განვითარების ის ვექტორი, რაც მანამდე ამ მოვლენის მონაწილე პერსონებს შეიძლება სავსებით რეალურ ვარიანტად მიეჩნიათ ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე.

II. იარაღის გამოყენებით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ძალადობრივი ქმედებების კვალიფიკაცია

უწინარესად კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ წინამდებარე კვლევის არეალში ნაგულისხმევი არ არის ძალადობრივი ქმედებები, რომელთა დროსაც მათი განმხორციელებელი პირის განზრახვაში ძირითადი, საბოლოო შედეგის სახით წარმოდგენილია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის დაზიანება (მაგალითად, განზრახ მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ან სხვა ანალოგიური ქმედება), არამედ ეს უკანასკნელი განიხილება როგორც მხოლოდ სავარაუდო თანამდევი შესაძლებლობა, ისიც მისთვის სახიფათო, უკიდურესი ვითარების წარმოქმნის შემთხვევაში. ამ კვლევის სფეროში შემომოგვაქვს მხოლოდ ის დელიქტები, სადაც ქმედების ჩამდენ სუბიექტს ძალადობა, ჩადენილი იქნება ის იარაღით, თუ იარაღის გამოყენების გარეშე, გათვლილი აქვს როგორც ხერხი ან საშუალება, სხვა მთავარი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად. ზოგჯერ ამგვარი მიზანი პირდაპირ არის მითითებული შესაბამისი ქმედების ძირითად შემადგენლობაში, ასეთია: ყაჩაღობის შემადგენლობა (საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილი); მეკობრეობის შემადგენლობა (საქართველოს სსკ-ის 228-ე მუხლის პირველი ნაწილი); ტერორისტული აქტის შემადგენლობა (საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლის პირველი ნაწილი); საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე თავდასხმის შემადგენლობა (საქართველოს სსკ-ის 326-ე მუხლის პირველი ნაწილი) და სხვა. გვხვდება სხვა მსგავსი დელიქტების ისეთი შემადგენლობებიც, სადაც ძალადობასთან დაკავშირებით ტერმინი „მიზანი“ არ იხსენიება, მაგრამ მასში პირდაპირ არის ჩამოყალიბებული თვით ასეთი მიზნის შინაარსობრივი სტრუქტურა. მაგალითის სახით შეიძლება დასახელებდეს შემდეგი შემადგენლობები: გაუპატიურება (საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილი); გამოძალავა (საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილი); ძალადობის გამოყენებით ან ძალადობის მუქარით ბირთვული ნივთიერების მოთხოვნა (საქართველოს სსკ-ის 231¹ მუხლი); პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით ან ძალადობის მუქარით (საქართველოს სსკ-ის 253-ე მუხლი).

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძალადობრივი ხასიათის დელიქტები შეიძლება განხორციელდეს როგორც ნამდვილი, მისი დანიშნულების მიხედვით ფუნქციონირებადი იარაღის, ისე არანამდვილი (უვარგისი) იარაღის გამოყენებით. ვიდრე განხილული იქნება საკითხი იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს ძალადობრივი ხასიათის დელიქტების კვალიფიკაციაზე მათი ჩადენა არანამდვილი (უვარგისი) იარაღით, იმისდა მიუხედავად, კონკრეტულად რა მიზანდასახულობა გააჩნდა ასეთი ქმედების ჩამდგენ სუბიექტს, მანამდე მოკლედ უნდა შევეხო ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზემოაღნიშნული ძალადობრივი ქმედებების (იგულისხმება როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ძალადობა) ჩადენა ხდება ნამდვილი ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით. როგორც ამ ნაშრომის წინამორბედ სტატიაში წარმოდგენილი კლასიფიკაცია გვიჩვენებს,² სხვადასხვა ჯგუფში იმის მიხედვით გაერთიანებული ძალადობრივი ხასიათის ქმედებები, თუ როგორი ფორმით არის გამოხატული მათი შემადგენლობის საკანონმდებლო ფორმულირებაში (იგულისხმება როგორც ძირითადი, ისე კვალიფიციური შემადგენლობა) თვით ამ ძალადობათა შინაარსი, ისინი შეიძლება გავყოთ შემდეგ სამ ძირითად ნაწილად.

პირველი, ეს არის ის სისხლისსამართლებრივი დელიქტები, რომელთა საკანონმდებლო განსაზღვრებაში მოცემულია პირდაპირი მითითება ძალადობაზე ან ძალადობის გამოყენების მუქარაზე, ამ უკანასკნელთა გამოსახატავად სხვადასხვა მოდიფიკაციის გამოყენებით, მაგრამ შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად რაიმე იარაღის მითითების გარეშე (მაგალითის სახით შეიძლება აღვნიშნოთ: საქართველოს სსკ-ის 231¹ მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ძალადობის გამოყენებით ან ძალადობის მუქარით ბირთვული ნივთიერების მოთხოვნა; სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა; სსკ-ის 353¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება – პოლი-

ციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე თავდასხმა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით).

მეორეა დელიქტების ის ნაწილი, რომელთა საკანონმდებლო ცნებაში, მართალია, არ არის პირდაპირი მითითება ძალადობაზე ან ძალადობის მუქარაზე, მაგრამ მასში მოცემულია სხვა ისეთი ქმედების განსაზღვრება, რომელიც ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტად გულისხმობს მის ჩადენას ძალადობითაც, აქ მხედველობაშია ქმედების მხოლოდ ძირითადი და არა კვალიფიციური შემადგენლობა (მაგალითად, ასეთია: საქართველოს სსკ-ის 222-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება – ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება; სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება – სახალხო დამცველზე ზემოქმედება ნებისმიერი ფორმით, მისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით; სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება – სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება).

მესამე ნაწილს წარმოადგენს ძალადობრივი ხასიათის ის დელიქტები, რომელთა შინაარსის განმსაზღვრელ ქმედებათა ძირითადი და კვალიფიციური შემადგენლობების საკანონმდებლო ფორმულირებაში პირდაპირ არის მითითებული იარაღზე, როგორც მოცემული შემადგენლობის ერთ-ერთ ალტერნატიულ ნიშანზე (ასეთია: საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება – ორგანიზება ან ხელმძღვანელობა ისეთი ჯგუფური მოქმედებისა, რასაც თან ახლავს იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მასზე თავდასხმა; სსკ-ის 323-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების – ტერორისტული აქტის ალტერნატიული შემადგენლობის ერთ-ერთი სახე: იარაღის გამოყენება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ჩადენილი ტერორისტული მიზნით; სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიციური შემადგენლობა – სამსახურებრივი უფლებამოსილე-

² *სულაქველიძე, დავით*, არანამდვილი (უვარგისი) იარაღით განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ძალადობის საკითხის გარკვევისათვის სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მე-2 გამოცემა, 2016, 19-21 (სტატიის ქართული ვერსია), სტატიის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ელექტრონული ჟურნალიდან – www.dgstz.de.

ბის გადამეტება, ჩადენილი იარაღის გამოყენებით), რომელიც ამ კონკრეტული შემადგენლობისათვის იმავდროულად აუცილებელი ნიშანიცაა.

წინამდებარე მოკლე მიმოხილვის შემდეგ, თავდაპირველად უნდა ვიმსჯელოთ იმ საკითხზე, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ზემოთ განხილული პირველი ორი კატეგორიის დელიქტებში მოცემულ ქმედებათა კვალიფიკაციაზე მათმა ჩადენამ ნამდვილი ცეცხლსასროლი ან ცივი აიარაღით.

ამ თვალსაზრისით, შეიძლება აღინიშნოს, რომ, მათი შემადგენლობის არსის გათვალისწინებით, ხსენებული გარემოება უშუალოდ ამ ქმედებების კვალიფიკაციას ვერ შეცვლის. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ ქმედებათაგან რომელიმე მათგანი პირმა ჩაიდინა მის არაკანონიერ მფლობელობაში არსებული იარაღით, მაშინ გვექნება არა ერთი (ძალადობრივი) დანაშაული, არამედ ორი დანაშაულის რეალური ერთობლიობა: დანაშაული, დაკავშირებული ძალადობასთან და დანაშაული, დაკავშირებული ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის უკანონო ფლობასა და ტარებასთან (საქართველოს სსკ-ის 236-ე და 238¹ მუხლები). ლოგიკური იქნება მივიჩნიოთ, რომ კვალიფიკაციის საკითხი ანალოგიურად უნდა გადაწყდეს მესამე კატეგორიის ქმედებებთან მიმართებითაც. თუკი ამ კატეგორიის ქმედების ჩასადენად სუბიექტმა გამოიყენა მის ხელთ არსებული უკანონო იარაღი, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში მან განახორციელა ორი სხვადასხვა დანაშაული – ერთი, ძალადობრივი დანაშაული იარაღის გამოყენებით, და მეორე დანაშაული, დაკავშირებული ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ მოპოვებასა და ფლობასთან.

ამის შემდეგ განსჯის საგანს წარმოადგენს წინამდებარე კვლევის შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი – ძალადობრივი ხასიათის ქმედებების კვალიფიკაციის შესაძლო სახეცვლილება არანამდვილი (უვარგისი) იარაღით მათი ჩადენის შემთხვევაში. ამ საკითხში უკეთ გარკვევისა და მისი მართებულად გადაწყვეტის ინტერესის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ უნდა მოვახდინოთ აღნიშნული მართალსაწინააღმდეგო ქმედებების შემადგენლობათა შიგა დიფერენცირება, შემდეგი ორი კრიტერიუმის მიხედვით: – ქმედება ჩადენილია ფიზიკური ძალადობით, თუ ის ჩადენილია ფსიქიკური ძალადობით, ანუ ფიზიკური ძალადობის გამოყენების მუქარით. ამგვარ დიფერენცირებას ის აზრი აქვს, რომ ფიზი-

კური ძალადობა, როგორც ფაქტობრივად არსებული რეალური საფრთხე, (აქ მხედველობაშია ძალადობისას ნამდვილი იარაღის მისი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით გამოყენების შედეგად მოსალოდნელი საფრთხე), არანამდვილი (უვარგისი) იარაღით ვერ განხორციელდება. საფრთხე მსგავს შემთხვევაში, მხოლოდ თავდასხმის ობიექტად ქცეული მსხვერპლის წარმოდგენაში არსებობს. თუმცა არც ის არის გამორიცხული, თვითონ ქმედების სუბიექტიც, მისი ნებისგან დამოუკიდებლად მოქმედი ამა თუ იმ მიზეზის გამო, შეცდომას უშვებდეს და ვერ აცნობიერებდეს, რომ თავდასხმისათვის მის მიერ გამოყენებული იარაღი თუ სხვა საშუალება, სინამდვილეში სრულიად გამოუსადეგარია მასზე დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად. ასეთი მოულოდნელი მოცემულობის არსებობის შესახებ მისთვისაც და ხელყოფის მომგერიებელი პირისთვისაც მხოლოდ თავდასხმის განხორციელების შემდეგ ხდება ცნობილი. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს გარემოება სიღრმისეულად და თვისობრივად აღიბეჭდოს როგორც ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციაზე, ისე ამ ქმედებიდან მომდინარე ხელყოფის მომგერიებლის მიერ განხორციელებული მოქმედებისა და მისი შედეგების სამართლებრივ შეფასებაზე.

არანამდვილი (სათამაშო ანდა ბუტაფორიული ან სროლისათვის უვარგისი, მხოლოდ სასწავლო დანიშნულების მქონე) იარაღით, ასევე მისი ფუნქციური დანიშნულების თვალსაზრისით სხვაგვარად უვარგისი იარაღით სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ძალადობრივი ქმედების ჩადენაზე მსჯელობისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს ზოგიერთ მნიშვნელოვან გარემოებას. კერძოდ, უნდა გაირკვეს: არსებობდა თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი თავდამსხმელის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ვერ მოხერხდებოდა დაზარალებულის ნების დათრგუნვა და იგი გამოიჩინდა დაუმორჩილებლობას, დამნაშავის მიერ ასეთი იარაღი, მისი ფუნქციური დანიშნულების ნაცვლად, გამოყენებული ყოფილიყო როგორც სხვა საგანი, მომარჯვებული სხეულის დასაზიანებლად, მაგალითად, ფუნქციურ დანიშნულებას მოკლებული სასწავლო ხასიათის მქონე, გრძელფულიანი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ლითონის ხელკეტის სახით. როდესაც ჩადენილია ისეთი ძალადობრივი ქმედება, რომლის შემადგენლობის საკანონმდებლო კონ-

სტრუქციულში არ არის მითითებული იარაღზე, როგორც მის აუცილებელ ნიშანზე (მხედველობაში ქმედების როგორც ძირითადი, ასევე კვალიფიციური შემადგენლობა), მაგრამ საუბარია ზოგადად ძალადობაზე და ძალადობის მუქარაზე, მათი ფორმისა და შინაარსის დაუზუსტებლად, ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს მიერ ძალადობისას გამოყენებული იარაღის არანამდვილობა (უვარგისობა) ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს.

განსხვავებული ვითარებაა მაშინ, როდესაც ძალადობრივი დელიქტის კანონით განსაზღვრულ ძირითად შემადგენლობაში (მაგალითად, ყაჩაღობის ძირითადი შემადგენლობა, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილი) ან კვალიფიციურ შემადგენლობაში (მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების კვალიფიციური შემადგენლობა, საქართველოს სსკ-ის 264-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი) მითითებულია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობაზე ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარაზე. როგორც ამ ნაშრომის წინამორბედ სტატიებში ითქვა, აღნიშნულ შემთხვევებში, თუკი დამნაშავე მსგავს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობას ახორციელებს არანამდვილი (უვარგისი) იარაღით, ეს გარემოება, ზოგიერთი ავტორის მიერ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით (პროფ. *ოთარ გამყრელიძე*, პროფ. *თამარ ებრაელიძე*, პროფ. *დოდო ჯულუხაძე*, პროფ. *რამაზ კვარაცხელია*), გამოიწვევს აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციის შეცვლას, ვინაიდან დამნაშავეს მიერ გამოყენებული იარაღის არანამდვილობის (უვარგისობის) შედეგად დაზარალებულის მიმართ გამოხატული ძალადობის მუქარაც კარგავს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ხასიათს. ამის გამო, ფაქტობრივად, ჩადენილი ქმედება გადის ხსენებული ძალადობის შემადგენლობის საკანონმდებლო ფორმულირებით განსაზღვრული ფარგლებიდან და გადაიქცევა იმავე ტიპის უფრო მსუბუქი კატეგორიის უმართლობად. მაგალითად, ყაჩაღობა გადაიქცევა ძარცვად, ანუ სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებად, მაგრამ ძალადობის გარეშე ან ისეთი ძალადობით, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის (საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლი). ხსენებული ავტორების ეს პოზიცია ჩემს მიერ უკვე

იყო კრიტიკულად შეფასებული³. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ თუკი ყაჩაღობისას არ მომხდარა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ფიზიკური ძალადობის რეალიზაცია და დამნაშავე მხოლოდ ასეთი ძალადობის მუქარით შემოიფარგლა, ხოლო საამისოდ არანამდვილი (უვარგისი) იარაღი გამოიყენა, ეს უკანასკნელი გარემოება ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლას ვერ გამოიწვევს, ე.ი. ყაჩაღობას ვერ გადააქცევს ძარცვად.

საწინააღმდეგო პოზიციაზე დარჩენამ, რაც ზემოხსენებულმა ავტორებმა აირჩიეს, კვალიფიკაციის თვალსაზრისით შეიძლება გამოუვალ ჩიხში შეგვიყვანოს არანამდვილი (უვარგისი) იარაღით ისეთი ძალადობრივი დელიქტის განხორციელებისას, რომლის ერთ-ერთ კვალიფიციურ შემადგენლობაში მხოლოდ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობაზე და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარაზეა მითითებული. მხედველობაში მაქვს საქართველოს სსკ-ის 227-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უაღრესად საშიში ქმედების კვალიფიციური შემადგენლობა: საჰაერო ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით. კიდევ უფრო მომეტებულია ასეთი ქმედებიდან მომდინარე საფრთხე მისი ჩადენისას საჰაერო სივრცეში მყოფ ხომალდზე. ჩემ მიერ ზემოთ მოხმობილ ავტორთა პოზიციიდან გამომდინარე, თუკი აღნიშნული ქმედება ჩადენილია არანამდვილი იარაღით, რომელიც ობიექტურად საფრთხეს არ უქმნის დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, მაშინ გამოვა, რომ ასეთ შემთხვევაში, ეს ქმედება, როგორც კვალიფიციური შემადგენლობის მქონე დანაშაული, საერთოდ აღარ არსებობს. ამგვარი მიდგომით ფაქტობრივად დაუსჯელად დავტოვებთ ისეთი მძიმე კატეგორიის ქმედებას, რომლის ნიშნებს სრულად არ ასახავს საქართველოს სსკ-ის 227-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული სისხლისსამართლებრივი ნორმა. ეს უკანასკნელი საჰაერო ხომალდის მხოლოდ მართ-

³ იხ. *სულაქველიძე, დავით*, არანამდვილი (უვარგისი) იარაღით განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ძალადობის საკითხის გარკვევისათვის სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მე-2 გამოცემა, 2016, 16-17 (სტატიის ქართული ვერსია), სტატიის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ელექტრონული ჟურნალიდან – www.dgstz.de.

ლსანინაალმდეგო დაუფლებაზე უთითებს, რომელიც, მისი ნორმატიული შინაარსის სწორი განმარტების შემთხვევაში, ვერ მოიცავს ისეთ ნიშანს, როგორცაა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა. ხოლო არანამდვილი იარაღით აღნიშნული ქმედების ჩამდენი პირის უფრო მკაცრად დასჯის მიზნით, ამ ქმედების საქართველოს სსკ-ის 227-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტის ნაწილში იმავე კოდექსის 150-ე მუხლის პირველ ნაწილზე (იძულება) ან 151-ე მუხლზე (მუქარა) გადაკვალიფიცირება, 227-ე მუხლის პირველ ნაწილთან ერთობლიობით სასჯელის დასაკისრებლად, ვერ მოხერხდება. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ზოგადი სისხლისსამართლებრივი ნორმების სანქციებით გათვალისწინებული სასჯელის ზომები აშკარად შეუსაბამოა განხილული ქმედების საშიშროების ხარისხთან, რის გამოც სსკ-ის 227-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციით დანიშნულ ძირითად სასჯელზე ამ ზომების დამატება, რომელთა შორის ყველაზე მკაცრია თავისუფლების აღკვეთა ერთ ნლამდე ვადით, მოცემულ შემთხვევაში, ნამდვილად ვერ უზრუნველყოფენ სისხლისსამართლებრივი სასჯელის პრევენციული მიზნების მიღწევას.

მიმაჩნია ასევე, რომ აღნიშნული სადავო საკითხი, მითითებული ავტორების პოზიციის საწინააღმდეგოდ უნდა გადაწყდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამნაშავე ყაჩაღობისას დაზარალებულის ნების დასათრგუნად და თავისი საბოლოო მიზნის აღსასრულებლად, დაზარალებულის წარმოდგენაში მის მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების იმიტირებისათვის, იშველიებს სრულიად უვნებელ საყოფაცხოვრებო საგნებს – ჩვეულებრივ ჯოხს, ფანქარს, ავტოკალამს, რაიმე მყარი მასალისგან დამზადებულ მილს, რომელშიც მხოლოდ პარფიუმერული ნაწარმია მოთავსებული, მაგალითად პომადა, და ა.შ. ხსენებულ საშუალებებს დამნაშავე იყენებს ისეთი ხერხით და ისეთ პირობებში, რომ დაზარალებულს არ აქვს საშუალება, გაერკვეს რეალურ ვითარებაში და იძულებულია დამორჩილდეს მოძალადეს. ასეთი ქმედებაც ყაჩაღობად უნდა შეფასდეს. ცნობილია, რომ სწორედ ასეთივე პოზიციას გაზიარებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული სასამართლო პრაქტიკის მიერ, აგრეთვე უცხოურ, კერძოდ, გერმანულ სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაშიც, სადაც ამგვარი ყაჩაღობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელო-

ბა ენიჭება სწორედ დაზარალებულის სუბიექტურ მდგომარეობას, მის მიმართ განხორციელებული მუქარის შინაარსის მისეულ აღქმას და არა იმას, თუ რამდენად რეალური იყო საფრთხე მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სინამდვილეში. ასეთივე მიდგომა იქნება გამართლებული სხვა ძალადობრივი დელიქტების მიმართაც, რომელთა შემადგენლობაში არ არსებობს პირდაპირი მითითება იარაღზე, როგორც მის აუცილებელ ნიშანზე.

ამავე დროს, როგორც უკვე აღვნიშნე, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარის მოგერიებისას თავდასხმისათვის გამოყენებული იარაღის არანამდვილობამ ან უვარგისობამ შესაძლებელია გარკვეული გავლენა მოახდინოს მომგერიებლის მოქმედებისა და მისი შედეგების სამართლებრივ შეფასებაზე. მაგრამ იმის გასარკვევად, კონკრეტულად როგორი შეიძლება იყოს ასეთი გავლენა, საჭირო იქნება უფრო დეტალური, დამოუკიდებელი კვლევის განხორციელება, რაც ამ ნაშრომისთვის განკუთვნილ ფორმატში ვერ მოხერხდება, ეს სამომავლო საქმეა. ამასთან, მიმაჩნია, რომ ზემოაღნიშნული საკითხი მაინც არის პირდაპირ კავშირში ყაჩაღობისა თუ სხვა მსგავსი ქმედების ჩადენისას გამოყენებული ფსიქიკური ძალადობის (იგულისხმება სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა) რეალურ ობიექტურ შინაარსთან. ამ მიმართებით საკვებით ვიზიარებ პროფესორ *ოთარ გამყრელიძე*-სა და სხვა ქართველი ავტორების ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იმ ნაწილში, რომლის მიხედვით, თუკი ყაჩაღობისას (მაშასადამე, სხვა მსგავსი, ძალადობრივი ხასიათის დელიქტების დროსაც, – დ. ს.) დამნაშავე თავდასხმის განხორციელების მომენტში არანამდვილ (უვარგის) იარაღს გამოიყენებს, მაშინ ამგვარად გამოხატული მუქარა ობიექტურად რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენს დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის.⁴ თუმ-

⁴ *გამყრელიძე, ოთარ*, უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის, წიგნში: *გამყრელიძე, ოთარ*, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, 1998, გვ. 209-212; *ებრაღიძე, თამარ*, წიგნში: *გამყრელიძე, ოთარ/ტურავა, მერაბ/მამულაშვილი, გოჩა/ებრაღიძე თამარ/თოდუა, ნონა/ბაქანიძე, რუსუდან*, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული), 2004, გვ. 84-91; *კვარაცხელია, რამაზ*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, 2015, გვ. 132-143; *ჯულუხაძე, დოდო*, ყაჩაღობისათვის სისხლისსამართლებრივი

ცა, აქვე უნდა გაკეთდეს ერთი აუცილებელი დათქმაც: აღნიშნული მოსაზრება მართებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა არ არსებობს იმის რეალური შესაძლებლობა და საშიშროება, რომ მსგავს სიტუაციაში დამნაშავე არანამდვილ (უვარგის) იარაღს იმავე მიზნის მისაღწევად გამოიყენებს როგორც სხვა საგანს, მომარჯვებულს დაზარალებულის სიცოცხლის მოსაპოვად ან ჯანმრთელობის დასაზიანებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქმედება მაინც უნდა შეფასდეს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ მუქარად, დამნაშავეს მიერ საამისოდ გამოყენებული იარაღის არანამდვილობის (უვარგისობის) მიუხედავად. შევნიშნავ, რომ ავტორებს, რომელთა პოზიცია აქ იქნა წარმოდგენილი, თავიანთი მსჯელობისას მოცემულ საკითხზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ, ამიტომ შევეცადე პრობლემა უფრო მეტი სისრულით წარმომეჩინა.

სრულიად სხვაგვარად დადგება კვალიფიკაციის საკითხი არანამდვილი (უვარგისი) იარაღით განხორციელებული ისეთი ძალადობრივი ქმედებების შემთხვევაში, რომელთა კანონით განსაზღვრულ ძირითად ან კვალიფიციურ შემადგენლობაში მართლსაწინააღმდეგო ძალადობის აუცილებელ ელემენტად და ამ შემადგენლობის სავალდებულო ნიშნად მითითებულია მათ ჩასადენად იარაღის გამოყენება. ამ თვალსაზრისით, რაც შეეხება იმ შემადგენლობებს, რომლებშიც იარაღი საშუალების როლში გვევლინება, მათ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ძალადობრივ ქმედებებთან, რომელთა კვალიფიკაციაზე პირდაპირ გავლენას ახდენს მათ ჩასადენად გამოყენებული იარაღის არანამდვილობა ანუ როდესაც ეს უკანასკნელი სრულიად გამოუსადეგარია თავისი ფუნქციის შესასრულებლად. ასეთი შეიძლება იყოს სათამაშო იარაღი, იარაღის ბუტაფორია, ფუნქციის არმქონე სასწავლო იარაღი და სხვა მსგავსი მოწყობილობა ან ნივთი, რომლითაც ცოცხალი ან სხვა ობიექტის დაზიანება შეუძლებელია. თუკი იმ კონკრეტული ქმედების განსახორციელებლად, რომლის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს იარაღი წარმოადგენს, პირმა შეგნებულად გამოიყენა არანამდვილი (უვარგისი) იარაღი, მაშინ არსებობს ორი შესაძლებელი ვარიანტი ამ უკანასკნელი გარემოების გავლენისა ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციაზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია

ლია შემდეგზე – საკითხი ეხება ქმედების ძირითად შემადგენლობას, თუ კვალიფიკაციურ შემადგენლობას, რომლის მიხედვით იარაღის გამოყენება მოცემული ქმედების დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს.

პირველი ვარიანტი გულისხმობს კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტას იმ შემთხვევებში, როდესაც იარაღის გამოყენებით ქმედების ჩადენაზე მითითებულია ძირითად შემადგენლობაში. ასეთი შემადგენლობა საქართველოს სსკ-ის კერძო ნაწილში სულ სამია, რომლებიც მოცემულია ამ კოდექსის: 225-ე მუხლის პირველ ნაწილში ალტერნატიული შემადგენლობის სახით (ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ან მასზე თავდასხმა); 323-ე მუხლის პირველ ნაწილში, აქაც ალტერნატიული შემადგენლობის სახით (ტერორისტული აქტი, ესე იგი იარაღის გამოყენება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ჩადენილი ტერორისტული მიზნით); 323¹ მუხლის მესამე ნაწილში, ასევე ალტერნატიული შემადგენლობითა და იარაღის სახეობის განმსაზღვრელ ნიშანზე მითითებით (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენება, ჩადენილი ტერორისტული მიზნით). თუკი აქ დასახელებული ქმედებების განსახორციელებლად გამოყენებული იქნება არანამდვილი იარაღი, მაშინ ამ ქმედებათა შესაბამისი დანაშაული ვერ ჩაითვლება ჩადენილად, შემადგენლობის არარსებობის გამო. ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც იარაღი არანამდვილია, შესაძლებელია ასეთი ქმედება სხვა დანაშაულად გადაიქცეს, თუ ის თავის თავში შეიცავს ამ უკანასკნელის ნიშნებს შესაბამისი ქმედების შემადგენლობის არსებობისათვის საკმარისი მოცულობით. მაგალითად, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილის ნაცვლად დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით) ანდა 353¹ მუხლის პირველი ნაწილით (ხელისუფლების წარმომადგენელზე თავდასხმა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით).

პასუხისმგებლობის ზოგიერთი თავისებურება, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, N1, 2007, 82-85.

არანამდვილი იარაღით განხორციელებული ძალადობრივი ქმედების კვალიფიკაციის მეორე განსხვავებულ ვარიანტს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც ნამდვილი იარაღით იმავე ქმედების ჩადენას კანონი დამამძიმებელ გარემოებად ანუ კვალიფიციურ შემადგენლობად მიიჩნევს. მაგალითის სახით მოვიტან შემდეგ ორ შემთხვევას: საქართველოს სსკ-ის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება – არჩევნებში ან რეფერენდუმში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით; სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება – მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი იარაღის გამოყენებით. აღნიშნული ქმედებები, არანამდვილი იარაღით ჩადენის შემთხვევაში, დაკვალიფიცირდება სსკ-ის იმავე მუხლების პირველი ნაწილებით, რომლებითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ამ ქმედებების ჩადენისათვის მაკვალიფიცირებელ გარემოებათა გარეშე.

რამდენადმე განსხვავებულია ვითარება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის⁵ მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების – კვალიფიციური ხულიგნობის ჩადენისას არანამდვილი (უვარგისი) იარაღით, სადაც გათვალისწინებულია გამკაცრებული სასჯელი ხულიგნობის ჩადენისათვის ცეცხლსასროლი იარაღის, ასევე იარაღად სხვა საგნის გამოყენებით. შესაძლებელია თუ არა ასეთ საგნად მივიჩნიოთ დამნაშავეს მიერ ხულიგნობისას გამოყენებული არანამდვილი იარაღი? ამ კითხვის პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა თვისებების მატარებელია ეს არანამდვილი იარაღი, მისი მეშვეობით ცოცხალი ობიექტის დაზიანების შესაძლებლობის თვალსაზრისით. მაგალითად, თუკი ხულიგანმა ქმედების ჩადენისას მოახდინა ლითონისგან დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღის ფორმის მქონე სათამაშო იარაღის დემონსტრირება და დაზარალებულს ამ საგნის თავში ჩარტყმით ემუქრებოდა, მაშინ მის მიერ განხორციელებულია საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით

გათვალისწინებული შემადგენლობა – ხულიგნობა, ჩადენილი იარაღად სხვა საგნის გამოყენებით.

III. დასკვნა

ზემოთ წარმოდგენილი კვლევის შედეგები შეიძლება შემდეგი დასკვნითი დებულების სახით ჩამოყალიბდეს:

საქართველოს სსკ-ის კერძო ნაწილში მოცემული ის დელიქტები, რომელთა შესაბამისი ქმედებების ძირითად ან კვალიფიციურ შემადგენლობებში მითითებულია ზოგადად მათ ჩადენაზე ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით, შეიძლება განხორციელდეს როგორც რაიმე იარაღის გარეშე, ისე ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის, აგრეთვე – სხვა ისეთი ნებისმიერი საგნის გამოყენებით, რომელიც თავისი თვისებებით იარაღს უთანაბრდება (მაგალითად ასაფეთქებელი მოწყობილობა).

აღნიშნული საშუალებების გამოყენებით ხსენებული დელიქტების ჩადენა ვერ შეცვლის ამ უკანასკნელთა კვალიფიკაციას, რა დროსაც იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფიზიკური ძალადობისთვის, ისე ამგვარი ძალადობის მუქარის განსახორციელებლად. ამ გარემოებას სასამართლო გაითვალისწინებს დამნაშავესათვის სასჯელის დანიშნვის დროს. ასეთივე იქნება სამართლებრივი შედეგები აღნიშნული დელიქტების განსახორციელებლად არანამდვილი (უვარგისი) იარაღის გამოყენების შემთხვევაშიც.

იმ დელიქტებთან დაკავშირებით, რომელთა შესაბამისი ქმედების ძირითად ან კვალიფიციურ შემადგენლობებში პირდაპირ არის მითითებული მათ ჩადენაზე სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, უნდა აღინიშნოს, რომ საამისოდ ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის ანდა სხვა საშიში საშუალების გამოყენება ამ შემთხვევაშიც ვერ შეცვლის მათ კვალიფიკაციას და ეს გარემოება გათვალისწინებული იქნება დამნაშავესათვის სასაჯელის ზომის განსაზღვრისას.

რაც შეეხება იმავე დელიქტების კვალიფიკაციას არანამდვილი (უვარგისი) იარაღით მათ ჩადენასთან დაკავშირებით, ამ სადავო საკითხის თაობაზე ჩემ მიერ არჩეული პოზიცია ასეთია: ვიდრე საქართველოს სსკ-ის კერძო ნაწილში არ არსებობს ნორმები სპეციალური შემადგენლობებით, რომლე-

⁵ ამ მუხლის პირველ ნაწილში წარმოდგენილი ძირითადი შემადგენლობის მიხედვით, ხულიგნობად ითვლება ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, თუ ის ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

ბითაც გათვალისწინებული იქნება განსხვავებული კვალიფიკაცია და პასუხისმგებლობის ზომები აღნიშნული შემთხვევებისათვის, რასაც მართებულად გვთავაზობს პროფესორი *ოთარ გამყრელიძე*⁶, ასეთი დელიქტების კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს მათი განხორციელება არანამდვილი (უვარგისი) იარაღით. ეს გარემოება შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამნაშავეს მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

სრულიად განსხვავებულად უნდა გადაწყდეს კვალიფიკაციის საკითხი არანამდვილი (უვარგისი) იარაღით იმ ქმედებების განხორციელებისას, რომელთა კანონით განსაზღვრულ შემადგენლობებში მოცემულია პირდაპირი მითითება იარაღზე, როგორც ამ შემადგენლობის აუცილებელ ნიშანზე, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი, მისი ფუნქციური დანიშნულებით გამოყენებისათვის ვარგისი იარაღი იგულისხმება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი ამგვარი ქმედება, რომლის ძირითადი შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს იარაღი, განხორციელებულია არანამდვილი (უვარგისი) იარაღით, მაშინ შესაბამისი დანაშაული საერთოდ არ არსებობს, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამ გარემოების გამო ის გადაიქცეს სსკ-ის სხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად.

ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც იარაღი მსგავსი ქმედების მხოლოდ კვალიფიციური შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს, ხოლო ეს ქმედება განხორციელებულია არანამდვილი (უვარგისი) იარაღით, უნდა მოხდეს ამ ქმედების გადაკვალიფიცირება იმავე მუხლში არსებულ ძირითად შემადგენლობაზე, რომლის აუცილებელი ნიშანი არ არის იარაღი.

⁶ *გამყრელიძე, ოთარ*, უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის, წიგნში: *გამყრელიძე, ოთარ*, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, 1998, გვ. 209 და მომდევნო.

შეცდომა ქმედების შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებებში (განზრახ მკვლელობის უმართლობასთან მიმართებით)

თბილისის საქალაქო სასამართლის მოსამართლე, ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. *ლაერენტი მალაქელიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ შეცდომის ორ ძირითად სახეს, რომელთაგან პირველი დაკავშირებულია ფაქტობრივ გარემოებებთან, ხოლო მეორე სამართლებრივ საკითხებთან. ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დაშვებული შეცდომა, რომელიც პირმა შეიძლება დაუშვას უმართლობის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებთან მიმართებაში, განზრახვის, კერძოდ, კი მისი ერთ-ერთი კომპონენტის – ცოდნის არსებობის პრობლემაა¹.

დანაშაულის სისტემაში უმართლობის ობიექტური ნიშნები ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარეში განიხილება, სუბიექტური ნიშნები კი ზოგიერთი ქმედების სუბიექტურ ეტაპზე, ზოგიერთი – ბრალში მოიაზრება. შესაძლებელია, ერთი და იგივე სუბიექტური ნიშანი ან ქმედების შემადგენლობის ან კიდევ ბრალის ეტაპზევე იქნეს განხილული². გამომდინარე აქედან, ეს თუ ის დამამძიმებელი გარემოება წარმოადგენს ქმედების ობიექტური ან სუბიექტური შემადგენლობის ან კიდევ ბრალის ნიშანს.

განსახილველ სტატიაში გაანალიზებული იქნება ქმედების შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებებში (განზრახ მკვლელობის უმართლობასთან მიმართებით) დაშვებული შეცდომა, რომლის დროსაც შესაძლებელია, ერთ შემთხვევაში, მოხდეს ქმედების კვალიფიკაციაში ცვლილება და პირი არ დაისაჯოს დამთავრებული დანაშაულისათვის, და პირიქით, ასეთმა შეცდომამ შესაძლოა, საერთოდ არ მოახდინოს ქმედების ჩამდენის დასჯადობაზე გავლენა და მოქმედი მაინც დამთავრებული განზ-

რახი დანაშაულის ჩადენის გამო მიეცეს სისხლის-სამართლებრივ პასუხისგებაში.

II. ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომა

ქმედების ობიექტური შემადგენლობა, როგორც ცნობილია, დანაშაულის გარეგანი დახასიათებაა, ხოლო ქმედების სუბიექტური შემადგენლობისა და ბრალის ნიშნები დანაშაულის – შინაგანი³.

ქმედების შემადგენლობის ერთი ან მეორე მხარისათვის ამა თუ იმ დამამძიმებელი გარემოების მიკუთვნება დამოკიდებულია იმაზე, დამნაშავეს მხოლოდ შეცნობილი ჰქონდა დამამძიმებელი გარემოება, თუ მან დანაშაული სწორედ ამ დამამძიმებელ გარემოებასთან დაკავშირებით ჩაიდინა⁴.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი⁵ ითვალისწინებს ქმედების შემადგენლობის არაერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებას, ასე მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 109-მუხლში მოცემულია რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება – განსაკუთრებული სისასტიკე, ანგარება, ხულიგნური ქვენაგრძნობა და ა.შ.

დანაშაულის ქმედების ობიექტურ შემადგენლობას მიკუთვნებული მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს სუბიექტურად შეცნობილი უნდა ჰქონდეს. ამაზე ცალსახად მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „განზრახი დანაშაულის

¹ Heinrich, Bernd, Strafrecht – Allgemeiner Teil II, 2. Aufl., 2010, Rn. 1113; Baumann, Jürgen, Weber, Ulrich, Mitsch, Wolfgang, Strafrecht, Allgemeiner Teil, 11. Aufl., 2003, §21, Rn. 17-20.

² მაგალითად ანგარება.

³ დვალიძე, ირაკლი/თუმანიშვილი, გიორგი/გვენეტაძე, ნინო, წიგნი: კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, 2015, გვ. 101.

⁴ ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 515-516.

⁵ ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია, როგორც სსკ.

სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზარხვა“.

თუმცა, საკითხავია, როდესაც პირი უშვებს შეცდომას აღნიშნულ ნიშნებთან დაკავშირებით, როგორ უნდა გადაწყდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი? უნდა შეერაცხოს თუ არა მას მაინც ეს ნიშანი, მიუხედავად ამგვარი შეცდომისა?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა, თავიდანვე განისაზღვროს, თუ რომელია ის მაკვალიფიცირებელი ნიშანი, რომელიც ქმედების ობიექტურ შემადგენლობას მიეკუთვნება და ის ნიშანი, რომელიც – სუბიექტურ შემადგენლობას ან ბრალს ამძიმებს.

(1) ქმედების ობიექტური შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშნებია – განზრახ მკვლელობა ჩადენილი: მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით; ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა, დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფისა; ორი ან მეტი პირისა; განსაკუთრებული სისასტიკით.

(2) რაც შეეხება ქმედების სუბიექტური შემადგენლობისა ან ბრალის მაკვალიფიცირებელ ნიშნებს, ეს ნიშნებია – განზრახ მკვლელობა ჩადენილი: სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; ხულიგნური ქვენაგრძნობით; რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; ანგარებით; მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით; მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

განვიხილოთ აღნიშნული შეცდომა შესაბამისი მაგალითებით.

1. ქმედების ობიექტურ შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომა

მიზანშეწონილია, თუ აღნიშნული პრობლემის განხილვას მაგალითით დავინწყებთ.

მაგალითი: *პეტრემ მეზობელ ქალბატონს სიტყვიერი შელაპარაკების დროს მუცლის არეში დაარტყა დანა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ იგი რამდენიმე კვირის ფეხმძიმე იყო. პეტრემ ამის შესახებ არაფერი იცოდა.*

მოცემულ შემთხვევაში პეტრეს დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია პრობლემური არ არის, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი ცალსახად მიუთითებს, რომ პირს იმ შემთხვევაში არ შეერაცხება ქმედების მაკვალიფიცირებელი ნიშანი, თუ მას იგი შეცნობილი არ ჰქონდა. ამ ვითარებაში ეს გარემოება პეტრეს სუბიექტურად არ ჰქონდა გაცნობიერებული, შესაბამისად, ქმედებაც დაკვალიფიცირდება განზრახი მკვლელობის ძირითად შემადგენლობად (სსკ-ის 108-ე მუხლი)⁶.

თუმცა, პრობლემურია ისეთი ვითარება, როცა ქმედების ჩამდენს ჰგონია, რომ ორსულ ქალს კლავს და სინამდვილეში იგი არ არის ორსული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს.

მეცნიერთა ერთი ნაწილი, ასე მაგალითად, პროფ. მზია ლეკვეიშვილი მიუთითებს, რომ ასეთი შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ე.წ. მარტივი მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხლი), ვინაიდან მისი აზრით, ნებისმიერი საეჭვო გარემოება, რომელიც ვერ დასტურდება შესაბამისი გარემოებებით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ⁷. ავტორი აღნიშნული პოზიციის გასამყარებლად იშველიებს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადებას,

⁶ ანალოგიური პოზიცია არსებობს ასევე, გერმანულ სისხლის სამართალშიც. ამის შესახებ დანვრილებით იხილეთ: *Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang, Strafrecht, Allgemeiner Teil, 11. Aufl., 2003, §21, Rn. 17.*

⁷ იხ. *მზია ლეკვეიშვილის* შეხედულება, წიგნში: *ლეკვეიშვილი მზია/თოდუა ნონა/გვენეტაძე ნინო/ მამულაშვილი გოჩა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2014, გვ. 38-39.*

რომლის თანახმადაც, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“⁸

ანალოგიურ პოზიციას იზიარებს ასევე პროფ. *ოთარ გამყრელიძე*⁹. იგი მიუთითებს, რომ თუკი ვინმეს ჰგონია, რომ კლავს ორსულს, სინამდვილეში კი ქალი არ არის ორსულად, ქმედება სსკ-ის 108-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ „ეს ქმედება ორსულობის ნაწილში იურიდიულად ისე უნდა შეფასდეს, როგორც „delictum putativum.“¹⁰ *ოთარ გამყრელიძის* ამ შეხედულებას იზიარებს ასევე *ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი*.¹¹

მეცნიერთა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევა უნდა შეფასდეს როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის მცდელობა. პროფ. *მერაბ ტურავა* თვლის, რომ დამნაშავეს უნდა შეერაცხოს ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, როგორცაა ქალის ორსულობა, რადგან მან განზრახი მკვლელობა ჩაიდინა მისი სუბიექტური წარმოდგენით ქალის ორსულობის გამო¹².

მაშასადამე, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში არ არის ერთიანი პოზიცია. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, საკითხავია: ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს რეალურად დამდგარი შედეგის მიხედვით? თუ მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილი იქნეს ბრალდებულის განზრახვაზე, რომელიც მიმართული იყო ორსული ქალის მიმართ მკვლელობის ჩასადენად?

ვფიქრობთ, უფრო სწორი პოზიციაა, თუკი პრობლემა შეფასდება არა რეალურად დამდგარი შედეგიდან, არამედ პირის განზრახვის მიმართულე-

ბიდან გამომდინარე – ჩაედინა უფრო მძიმე უმართლობა, ვიდრე ეს რეალურად განხორციელდა. შესაბამისად, არ არის გასაზიარებელი მეცნიერთა იმ ნაწილის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ და ქმედების კვალიფიკაცია მოხდეს სსკ-ის 108-ე მუხლით. გარდა ამისა, არასწორია ასევე, იმ ქართველ მეცნიერთა შეხედულება, რომლებიც თვლიან, რომ აღნიშნულ შემთხვევაში თითქოსდა ადგილი აქვს ე.წ. მოჩვენებითი დელიქტის ანალოგიურ ვითარებას.

ამ პოზიციის გასამყარებლად საკმარისია რამდენიმე არგუმენტის მოყვანა:

(1) პირის განზრახვა, რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის წინ უსწრებს ქმედების ჩადენას¹³, თავიდანვე საჭიროებს სამართლებრივ შეფასებას. არ იქნება სწორი, თუკი, ბრალდებულის განზრახვა – მოკლას ორსული ქალი, მაშასადამე, განახორციელოს უფრო „დიდი ბოროტება“, დარჩება ყოველგვარი რეაგირების გარეშე და ყურადღება გადატანილი იქნება მართო შედეგზე. ასეთ შემთხვევაში, მართებულია, დამნაშავეს შეერაცხოს ეს მაკვალიფიცირებელი გარემოება, რადგან მან განზრახი მკვლელობა ჩაიდინა სწორედ მისი სუბიექტური წარმოდგენით ქალის ორსულობის გამო, მაგრამ ვინაიდან დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება რეალურად არა გვაქვს, ამიტომ მისი მოქმედება შეფასდება როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობად.

(2) არ არის გასაზიარებელი ასევე პროფ. *ოთარ გამყრელიძის* შეხედულება, რომელსაც მიაჩნია, რომ ქმედება ორსულობის ნაწილში იურიდიულად ისე უნდა შეფასდეს, როგორც „delictum putativum“-ი. ვფიქრობთ, მეცნიერის ზემოაღნიშნული მოსაზრება წინააღმდეგობრივია იმ პოზიციასთან, რომელსაც ავტორი მოგვიანებით იქვე ავითარებს. კერძოდ, *ოთარ გამყრელიძე* მიუთითებს: თუ „ადამიანს ჰგონია, რომ დანაშაულს სჩადის, სინამდვილეში ქმედება დანაშაულს არ წარმოადგენს, მოქმედი აქ პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.“¹⁴

⁸ იხ. *მზია ლეკვეიშვილის* შეხედულება, წიგნი: *ლეკვეიშვილი მზია/თოდუა ნონა/გვენეტაძე ნინო*, მამულაშვილი გოჩა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2014, გვ. 38-39.

⁹ *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 შევსებული გამოცემა, 2008, გვ. 110.

¹⁰ *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 შევსებული გამოცემა, 2008, გვ. 110.

¹¹ ამასთან დაკავშირებით იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან*, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 115.

¹² *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 515-516.

¹³ *მაღლაკელიძე, ლაფრენტი*, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, 2013, გვ. 27-28.

¹⁴ *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 შევსებული გამოცემა, 2008, გვ. 110.

მართლაც, „delictum putativum“ თავისი არსით არის მოჩვენებითი დელიქტი, ანუ ისეთი შემთხვევა, როცა პირი ფიქრობს რომ სჩადის დანაშაულს, მაგალითად, მას ჰგონია, რომ ახლო ნათესავებს შორის ნებაყოფლობითი სექსობრივი კავშირი არის (ინცესტი)¹⁵ დასჯადი, სინამდვილეში კი ასეთი ქმედება საქართველოს სსკ-ის მიხედვით, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას¹⁶. ამგვარი ვითარება წარმოადგენს მოჩვენებით დელიქტს და „დამნაშავე“ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში არ მიეცემა. პირის მიერ, მისი წარმოდგენით, ორსული ქალის მკვლელობის შემთხვევა კი, ე.ი., როცა იგი შეცდომას უშვებს ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც მოჩვენებითი დელიქტის ანალოგიური ვითარება. მართალია, ამ დროს მოქმედი არ უნდა დაისაჯოს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი დამთავრებული მკვლელობისათვის, მაგრამ შესაძლოა, დაისაჯოს მაკვალიფიცირებელ გარემოებებში ჩადენილი დაუთმავრებელი დანაშაულისათვის, მაშინ როდესაც, მოჩვენებითი დელიქტის დროს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთოდ არ ეკისრება.

აღსანიშნავია, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ზოგიერთი რუსი მეცნიერის შეხედულება. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მათი პოზიციები ამ მხრივ უფრო რადიკალურია. კერძოდ, ისინი თვლიან, რომ ასეთ ვითარებაში პირის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს პიროვნებაში შეცდომის ანალოგიურად, რა დროსაც ამგვარი შეცდომა არ უნდა ახდენდეს გავლენას ქმედების კვალიფიკაციაზე. მაგალითად, პროფ. *ბორზენკოვს* მიაჩნია, რომ თუ დამნაშავე მოკლავს მისი წარმოდგენით ორსულ ქალს, რომელიც შემდგომში არ აღმოჩნდება ორსული, განზრახვის მიმართულებიდან გამომდინარე, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დამთავრებული განზრახვი დანაშაული (რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი)¹⁷.

¹⁵ ინცესტი – ლათ. incestus – „დანაშაული“, „ცოდვა“ – სისხლთა შერევა სისხლით ნათესავებს შორის (მშობლებსა და შვილებს შორის, ძმებსა და დებს შორის).

¹⁶ შეად. გერმანიის სსკ-ის 173-ე პარაგრაფს, რომლის მიხედვითაც, გერმანულ სისხლი სამართალში ანალოგიური ქმედება დასჯადია.

¹⁷ *Борзенков, Геннадий Николаевич*, წიგნში: В. М. Ле-

მსგავს პოზიციას ავითარებს ასევე, რუსი მეცნიერი *სტანისლავ ბოროდინი*. იგი მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ ზემოაღნიშნული ქმედება, როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ დამთავრებულ განზრახვად დანაშაულად უნდა შეფასდეს¹⁸. ავტორის აზრით, მართალია, დამნაშავე ამ დროს უშვებს შეცდომას, მაგრამ იგი მაკვალიფიცირებელ გარემოებებთან მიმართებაში მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით, რის გამოც, ქმედების გადაკვალიფიცირება მცდელობაზე ან უფრო მსუბუქ მუხლზე არ უნდა მოხდეს¹⁹.

რუს მეცნიერთა ეს პოზიცია არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან, ჯერ ერთი, ასეთი შემთხვევა ცალსახად არ წარმოადგენს პიროვნებაში შეცდომის ანალოგიურ მოვლენას²⁰, რა დროსაც დამნაშავე შეცდომას უშვებს არა ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებებთან მიმართებაში, არამედ თავად პიროვნებაში – ჰგონია, რომ კლავს მისთვის სასურველ ადამიანს, მაგრამ მოკლულის ნაცვლად აღმოჩნდება სულ სხვა პიროვნება. მეორე, არასწორია ასევე, ის შეხედულება, რომ აქ დამნაშავე დამამძიმებელ გარემოებასთან – ორსულობასთან – დაკავშირებით თითქოსდა მოქმედებდეს არაპირდაპირი განზრახვით. თუკი პირი უშვებს იმის შესაძლებლობას (ევენტუალური განზრახვა), რომ ქალი შესაძლოა ორსული იყოს, მაშინ გამოდის, რომ აღნიშნულ გარემოებასთან მიმართებით დამნაშავე შეცდომას ვერასდროს დაუშვებს, რადგან მინიმუმ არაპირდაპირი განზრახვის არსებობა მას ყოველთვის დაუდასტურდება. გარდა ამისა, ამით ნაიშლება ყოველგვარი ზღვარი მკვლელობის ძირითად შემადგენლობასა და მაკვალიფიცირებელ შემადგენლობას შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე სწორი გზაა, თუკი პირის ქმედება შეფასდება როგორც მაკვალიფიცირებელ გარემოებებში

бедев (რედ.), Комментарий к Уголовному кодексу РФ, 2001, გვ. 239.

¹⁸ *Бородин, Станислав Владимирович*, Ответственность за убийство: квалификация и наказание по российскому праву, 1994, გვ. 108.

¹⁹ *Бородин, Станислав Владимирович*, Ответственность за убийство: квалификация и наказание по российскому праву, 1994, გვ. 108.

²⁰ პიროვნებაში შეცდომა ქვემოთ იქნება გაანალიზებული.

ჩადენილი მკვლელობის მცდელობად. მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი შეფასების მიღმა არ დარჩეს პირის განზრახვა – მოკლული იქნეს ორსული ქალი. შესაძლებელია, ასევე, კვალიფიკაცია მოხდეს მკვლელობის ძირითად შემადგენლობასთან (108-ე მუხლი) იდეალური ერთობლიობით, რადგან დანაშაულის მსხვერპლი მკვდარია²¹. დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის დროს ასეთი ორმაგი კვალიფიკაცია მიზანშეზონილია აგრეთვე დღეს მოქმედი ახალი ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე²².

ანალოგიურად შეიძლება გადაწყდეს ქმედების ობიექტურ შემადგენლობის სხვა მაკვალიფიცირებელ ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომაც. კერძოდ, თუკი დამნაშავე შეცდომას დაუშვებს არასრულწლოვანის ან უმწიფო მდგომარეობაში მყოფის მიმართ; მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით; ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; განსაკუთრებული სისასტიკით ან ორი ან მეტი პირის მიმართ²³. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, პირის ქმედება დაკვალიფიცირდეს ან მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობის მცდელობად ან კიდევ დანაშაულთა იდეალური ერთობლიობით, ე.წ. მარტივ მკვლელობასთან ერთობლიობაში, თუკი, რა თქმა უნდა, როგორც ეს ორსულობის ნიშნთან მიმართებით იქნა გაანალიზებული, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მოჰყვება ადამიანის სიკვდილი.

²¹ ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 516.

²² ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 516.

²³ აქ იგულისხმება ისეთი ვითარება, როდესაც პირი მოკვლის ერთიანი განზრახვით შეაგდებს ხელყუმბარას შენობის ერთ-ერთ ოთახში, სადაც იმყოფება რამდენიმე ადამიანი, ამასთან ფიქრობს, რომ აფეთქებით ოთახში მყოფი ყველა პირი დაიღუპება, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი მოკვდება, ხოლო სხვები მიიღებენ ჯანმრთელობის სხვადასხვა სახის დაზიანებას. ამ პოზიციას იზიარებს ასევე, პროფ. მერაბ ტურავაც. ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 21.

2. ქმედების სუბიექტურ შემადგენლობის ან ბრალის მაკვალიფიცირებელ ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომა

ცალკე განხილვას საჭიროებს ქმედების სუბიექტურ ან ბრალის მაკვალიფიცირებელ ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომაც.

მაგალითი: *პეტრეს სურდა შური ეძია მისი შვილის საქმის პროკურორზე, რომელმაც ქურდობის ბრალდებით პასუხისმგებლობა მისცა პეტრეს ერთადერთი ვაჟი. პეტრე დაელოდა პროკურორს სახლთან, როდესაც გამოჩნდა პროკურორის კუთვნილი ავტომანქანა, პეტრემ გაისროლა მძღოლის მიმართულელებით, თუმცა, საჭესთან არა პროკურორი, არამედ მისი მძღოლი აღმოჩნდა.*

მოცემული მაგალითი წარმოადგენს პიროვნებაში შეცდომის კლასიკურ შემთხვევას, რა დროსაც პირის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს ე.წ. თანაბარღირებულების თეორიის მიხედვით, რადგან საქმე გვაქვს თანაბარ სამართლებრივ სიკეთეებთან²⁴. თუმცა, საკითხავია, პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება ძირითადი მკვლელობის შემადგენლობის განხორციელებისათვის, თუ მაკვალიფიცირებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის?

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშანია – განზრახ მკვლელობა ჩადენილი – მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამ ნიშნთან მიმართებით დაშვებული შეცდომა კი კვალიფიკაციაში ცვლილებას არ იწვევს, ვინაიდან ერთი ადამიანის სიცოცხლე სამართლებრივი თვალსაზრისით იმავე ღირებულებას წარმოადგენს, რასაც მეორე ადამიანის სიცოცხლე²⁵. შესაბამისად, ჩვენს მა-

²⁴ Safferling, Christoph M.J., Vorsatz und Schuld, 2008, 163; Roxin, Claus, Strafrecht Allgemeiner Teil I, 4. Aufl., 2006, 516-517; ასევე, იხილეთ: ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 513; ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 157; ხერხეულიძე, ირინე, წიგნში: ტყეშელიაძე, გიორგი/ლეკვეიშვილი, მზია/ნაჭყებია, გურამ/თოდუა, ნონა/მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან/მამულაშვილი, გოჩა/ივანიძე, მაია/ხერხეულიძე, ირინე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2016, გვ. 155.

²⁵ იხ. თინათინ წერეთლის შეხედულება წიგნში: მაყაშვილი, ვლადიმერ/წერეთელი, თინათინ/ შავგულიძე, თამაზ, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, 1980, გვ. 12-13.

გალითშიც, პროკურორის სიცოცხლე ისეთივე ღირებულია, როგორც მისი მძღოლის სიცოცხლეც. გამომდინარე აქედან, ასეთ დროს ქმედების კვალიფიკაცია უცვლელია.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვექნება საქმე, როცა პირი უშვებს შეცდომას ბრალის მაკვალიფიცირებელ გარემოებებთან დაკავშირებით²⁶.

მაგალითი: *პეტრემ ანგარების მოტივით, მოკვლის განზრახვით ესროლა მისი წარმოდგენით ბიზნესმენს, რომლის მოკვლისთვის მას უნდა აეღო 10000 აშშ დოლარი. სიბნელეში პეტრეს შეეშალა და ესროლა სადარბაზოდან გამოსულ ბიზნესმენის ძმას, რის გამოც იგი დაიღუპა. პეტრემ კი შეპირებული თანხა ველარ მიიღო.*

მიუხედავად შეცდომისა, ქმედების ჩამდენი პირი დაისჯება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი დამთავრებული დანაშაულისათვის, კერძოდ, განზრახი მკვლელობა ანგარებით, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც საკითხი უნდა გადაწყდეს პიროვნებაში შეცდომის ანალოგიურად, ამასთან აუცილებელი არაა, რომ მკვლელმა მიიღოს შეპირებული მატერიალური სარგებელი, მთავარია, რომ იგი მოქმედებდეს სწორედ ანგარების მოტივით²⁷.

ანალოგიური სამართლებრივი შედეგი გვექნება იმ შემთხვევაშიც, როცა პირი უშვებს შეცდომას ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით.

III. დასკვნა

ამდენად, ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ქმედების შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომა სადავო და სადისკუსიო საკითხია. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ არსებობს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მისი კვლევა და განხილვა კვლავაც აქტუალურია. სხვადასხვა ავტორთა პოზიციების მიუხედავად, მიგვაჩნია,

რომ დანაშაულის ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში შემავალი მაკვალიფიცირებელი გარემოების შესახებ შეცდომა, უნდა იწვევდეს კვალიფიკაციაში ცვლილებას და დანაშაულის მცდელობით დაკვალიფიცირებას (შესაძლებელია დაშაულთა ერთობლიობაც, თუ შედეგი – ადამიანის სიკვდილი – დადგება), ხოლო თუ მაკვალიფიცირებელი გარემოება სუბიექტური შემადგენლობის ან ბრალის ნიშანს წარმოადგენს, მაშინ მის მიმართ დაშვებული შეცდომა კვალიფიკაციისათვის ირელევანტური უნდა იყოს.

²⁶ ანგარება შესაძლებელია, ასევე, ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაშიც იქნეს მოაზრებული, თუმცა, ამ შემთხვევაში ანგარება ბრალის ნიშანია.

²⁷ ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 513.

გერმანული სისხლის სამართლის გამოყენება ინტერნეტში*

გერმანიის ფედერალური სასამართლო (BGH), 2015 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება – სასამართლო აქტი 3 StR 88/14, გამოქვეყნებულია ჟურნალში: „ახალი ჟურნალი სისხლის სამართლისთვის“ – Neue Zeitschrift für Strafrecht (NStZ) 2015, 81.

მონვეული დოკუმენტი, სამართლის დოქ. **ტობიას რაინბახერი**, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი

საზღვარგარეთიდან ინტერნეტში ისეთი მასალის განთავსების შემთხვევაში, რომელიც ანტიკონსტიტუციური ორგანიზაციისათვის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის §86a-ს ფარგლებში, სისხლისსამართლებრივი დასჯადობისთვის მოცემული არ არის გერმანიის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის წინაპირობა მაშინაც, როდესაც ამ მასალის შინაარსზე წვდომა გერმანიის ტერიტორიიდანაც შესაძლებელია. (სახელმძღვანელო წინადადება NStZ-ის მიხედვით).

I. ფაქტობრივი გარემოებები**

სხვა დანაშაულებთან ერთად ა-ს ბრალად დაედო ქმედება, რომელზეც ყურადღება გამახვილდება ამ სტატიის ფარგლებში: 2011 წლის აპრილში ა გაემგზავრა გერმანიიდან ჩეხეთის რესპუბლიკაში და კომპიუტერის მეშვეობით, ინტერნეტ პორტალითუბზე დააარსა პლატფორმა დასახელებით „არიული მუსიკის ფრაქცია“. ამ პლატფორმაზე მან სხვა გამოსახულებებთან ერთად ატვირთა სვასტიკის სიმბოლო. არანაკლებ სამი თვის მანძილზე მისი მოქმედების განმავლობაში, როდესაც ა-ს, როგორც ამ მასალის მიმწოდებელს ჰქონდა მუდმივი წვდომა პლატფორმასთან, მისი შინაარსი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მინიმუმ ორი ადამიანისგან იქნა გამოძახებული.

* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა ანი ნასრაშვილმა.

** სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტობრივი გარემოებები უმნიშვნელოდ შემოკლდა და ცვლილება განიცადა, რათა ძირითადი პრობლემა ნათლად იქნეს წარმოჩენილი.

II. პრობლემები და არსებული მოსაზრებები

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის¹ განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის §86a ანტიკონსტიტუციური ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოყენებას სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად აცხადებს. ასეთ ნიშნებს მიეკუთვნებიან გერმანული სსკ-ის §86a-ს მეორე ნაწილის თანახმად დროშები, სიმბოლოები, უნიფორმის ნაწილები, პაროლები და მისაღმების ფორმები. სვასტიკა, როგორც ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის სიმბოლო წარმოადგენს სწორედ ამგვარ, ანტიკონსტიტუციური ორგანიზაციისთვის დამახასიათებელ ნიშანს.² გერმანიის სახელმწიფოს მიერ ამ სიმბოლოს შემცველი დროშის ტარების, ჩვენების და ა.შ სისხლისსამართლებრივ დასჯადობას საფუძვლად უდევს გერმანიის წარსული გამოცდილება. კანონმდებლის მიზანს წარმოადგენდა განსაკუთრებით ნაციონალისტური ნიშნების სამუდამოდ განდევნა ფედერაციული რესპუბლიკის საჯარო სივრციდან³. აღნიშნული ქმედების შემადგენლობა, გავრცელებული მოსაზრების თანახმად ემსახურება დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს და საჯარო მშვიდობის დაცვას

¹ ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია, როგორც სსკ.

² BGHSt (Amtliche Sammlung der Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Strafsachen) 29, 73, 83; Spindler/Schuster/Gercke, Recht der elektronischen Medien, 3. Aufl. 2015, § 86a Rn. 3; Hecker, Juristische Schulung (JuS) 2015, 274.

³ Bayerisches Oberlandesgericht (BayObLG), NStZ 2003, 89.

გერმანიაში.⁴ ამასთან, უზენაესი სასამართლო ასევე უშვებს მოსაზრებას, რომ ქმედების შემადგენლობას ამ გარე ზემოქმედების გარდა აქვს ასევე ჯგუფის შიგნით მოქმედი ეფექტი, რომ სურს დააბრკოლოს თანამოაზრეთა მიერ ერთმანეთის შეცნობის შესაძლებლობა ამ სიმბოლოების გამოყენების გზით⁵ მაგალითისთვის, ვინც გერმანიის ტერიტორიაზე ფანჯრიდან გადმოკიდებს დროშას სვასტიკის გამოსახულებით, რათა თავისი შეხედულება ამგვარად საჯაროდ განაცხადოს, ჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს. აქედან გამომდინარე, გერმანული სსკ-ის §86a-ს პირველი აბზაცის ქმედების შემადგენლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ანებს ქვეყნის შიგნით სსკ-ის §86-ის პირველი აბზაცის პირველი, მე-2 და მე-4 ნომრებით გათვალისწინებული პარტიებისა და გაერთიანებების სიმბოლოების გავრცელების ან საჯაროდ გამოქვეყნებისთვის, შეკრების დროს ან დამნაშავის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში ამავე სიმბოლოების გამოყენებას. (გერმანიის სსკ-ის §11-ის მე-3 აბზაცი) ასევე დასჯადია ამ სიმბოლოების ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ გავრცელების ან გამოყენების მიზნით სსკ-ის §86-ის პირველი აბზაცის პირველი ნომრის შესაბამისად ისეთი საგნების წარმოება, შენახვა, შემოტანა ან გატანა, რომლებიც ამ სიმბოლოებს განასახიერებენ ან შეიცავენ. განსახილველ შემთხვევაში სვასტიკის ინტერნეტ-სივრცეში ატვირთვასთან მიმართებით პირველ რიგში გამოყენებას პოვებს „სიმბოლოს გავრცელება“. „გავრცელება“ გულისხმობს დამნაშავის მიერ პირთა ფართო წრისთვის სიმბოლოს ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას⁶ აღნიშნულის მიუხედავად სადავოა, სავალდებულოა თუ არა სიმბოლოს მატერიალური (სხეულებრივი) გავრცელება,⁷ თუ ინტერნეტ-შინაარსის ფართო განმარტების პირო-

ბებში, მაგალითად ელექტრონული ფოსტით მონაცემის გაგზავნის ანდა მოცემულ შემთხვევაში პორტალზე ატვირთვის დროს, როდესაც ფაილი მესამე პირისგან გამოიძახება, სიმბოლოს მატერიალური გავრცელების წინაპირობაზე უარის თქმა შესაძლებელია.⁸

პირველად დასახელებული მკაცრი მოსაზრების სამართლიანად გაზიარების შემთხვევაში, მაინც შესაძლებელია იგივე ქმედება „საჯარო გამოყენებასაც“ შეესაბამებოდეს, (ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გავრცელების გამიჯვნა საჯარო გამოყენებისგან თითქმის შეუძლებელი გახდება⁹), რადგან ა-მ სვასტიკის სიმბოლო თავის იუთუბის გვერდზე განათავსა. „საჯაროობა“ არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც პირთა ფართო წრეს, რომლებიც დამნაშავესთან არა მხოლოდ პირადი ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი, (სიმბოლოზე) წვდომა გააჩნიათ.¹⁰ ინტერნეტი, როგორც წესი არის საჯარო ადგილი. ამასთან, „გამოყენება“ ძალიან ფართო მნიშვნელობით განიმარტება და იგი არსებობს აკრძალული სიმბოლოების ყველანაირი მოხმარების დროს.¹¹ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მესამე პირს შესაძლებლობა ეძლევა, ის ოპტიკურად ან აკუსტიკურად აღიქვას.¹² ამდენად, პარალელის გავლება შეიძლება გერმანული სსკ-ის §184-ის ქმედების შემადგენლობის ელემენტთან – საჯარო ხელმისაწვდომობასთან.¹³ მედიასაშუალებების გზით ტრანსლაცია ასევე „გავრ-

⁴ Beck'scher Online-Kommentar zum StGB (BeckOK)/ Ellbogen, 31. Edition, Stand: 1.6.2016, § 86a Vor Rn. 1; Hecker, JuS 2015, 274; Schönke/Schröder/Sternberg-Lieben, Kommentar zum Strafgesetzbuch, 29. Aufl. 2014, § 86a Rn. 1

⁵ BGHSt 47, 354, 359

⁶ BayObLG NStZ 1983, 120, 121; Heinrich, NStZ 2000, 533.

⁷ Heinrich, NStZ 2000, 533, 534; Nomos Kommentar zum Strafgesetzbuch (NK)/Paeffgen, 4. Aufl. 2013, § 86a Rn. 12; Schönke/Schröder/Sternberg-Lieben, § 86a Rn. 8; შეად. წერილობითი დოკუმენტის გავრცელებასთან მიმართებით BGH NStZ 2012, 564.

⁸ Spindler/Schuster/Gercke, § 86a Rn. 6; Münchener Kommentar zum Strafgesetzbuch (MüKo)/Steinmetz, 2. Aufl. 2012, § 86a Rn. 28; შეად. ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელებასთან მიმართებით § 184 Abs. 3 Nr. 1 StGB a.F. (შეცვლილი რედაქციით § 184b StGB) BGHSt 47, 55, 59: ინტერნეტში მოქმედებს „გავრცელების“ სპეციალური ცნება, რომელის მიხედვითაც ინტერნეტში მონაცემების გავრცელებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც „ფაილი ინტერნეტმომხმარებლის კომპიუტერში, როგორც ოპერატიული ისე მეორადი შემნახველი მეხსიერების მიერ ინახება“;

⁹ Heinrich, NStZ 2000, 533, 534.

¹⁰ Spindler/Schuster/Gercke, § 86a Rn. 5; MüKo/Steinmetz, § 86a Rn. 26.

¹¹ Schönke/Schröder/Sternberg-Lieben, § 86a Rn. 6.3.

¹² Spindler/Schuster/Gercke, § 86a Rn. 5; Heinrich, NStZ 2000, 533, 534; Lackner/Kühl/Kühl, StGB, Kommentar, 28. Aufl. 2014, § 86a Rn. 4.

¹³ შეად. § 184 Abs. 3 Nr. 2 StGB a.F. BGHSt 47, 55, 60: ინტერნეტში განთავსება ნასაკითხად წვდომისთვის საკმარისია.

ცვლებს“ დეფინიციის გაფართოების გარეშე მის ქვეშ ექცევა.¹⁴ აქედან გამომდინარე წარმოადგენს ფაილის ინტერნეტში განთავსება არსებითად „საჯარო გავრცელებას“.¹⁵

ამ შემთხვევაში პრობლემატურია განსაკუთრებით შემდეგი: შეძლებდა თუ არა ა „ქვეყნის შიგნით“ (გერმანიაში) სიმბოლოს გამოყენებას, როგორც ამას ქმედების შემადგენლობა მოითხოვს, მაშინაც, როდესაც ის მისი ინტერნეტში ატვირთვის დროს ჩეხეთში იმყოფებოდა? ეს ნიშანი დამახასიათებელია ასევე ანტიკონსტიტუციური ორგანიზაციების პროპაგანდის საშუალებების გავრცელებისთვის, სსკ-ის §86-ის მიხედვით. ამით იზღუდება ამ სისხლისსამართლებრივი ნორმის მოქმედება სივრცეში – დასჯადია მხოლოდ სიმბოლოს გამოყენება ქმედების ჩადენის ადგილზე ქვეყნის შიგნით.¹⁶ გავრცელებული შეხედულების თანახმად, ქმედების ჩადენა გერმანიაში, ნორმის პირდაპირი მითითების გამო, ქმედების შემადგენლობის ელემენტს წარმოადგენს.¹⁷ ქმედების შემადგენლობის ეს ნიშანი რომ არ ყოფილიყო აქ მოცემული, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, გერმანული სისხლის სამართლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა სსკ-ის §53-ის (ე.წ. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები) მიხედვით, ვინაიდან სისხლის სამართალწარმოების მიმდინარეობა და განაჩენის გამოტანა გერმანიაში მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გერმანული სისხლის სამართლის ნორმა გამოყენებას კონკრეტულ შემთხვევაში ჰპოვებს. გერმანიის სსკ-ის §86-ს მიხედვით „ქვეყნის შიგნით“ ქმედების ჩადენის მიკუთვნება ქმედების შემადგენლობის ელემენტს, დოგმატურად ეწინააღმდეგება გავრცელებულ მოსაზრებას სსკ-ის §53-თან მიმართებით, რომელიც სისხლის სამართლის კანონის გამოყენებაში სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ობიექტურ წინაპირობას ხედავს.¹⁸ ამასთანავე, ეს ნიშანი, ავინროვებს ქმე-

დებას „ქვეყნის შიგნით“ ქმედების ჩადენის ადგილების მიხედვით, ასე რომ, გერმანული სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლების სხვა დამაკავშირებელი ფაქტორების გამოყენება (როგორცაა, მაგალითად, პერსონალურობის პრინციპი) აღარ ხდება.¹⁹ თუმცა, ამასთანავე, თანხმობა მდგომარეობს იმაში, რომ ქმედების ჩადენის ადგილი სსკ-ის §86a გამოყენების დროს, აგრეთვე სსკ-ის მე-9 პარაგრაფით განისაზღვრება.²⁰ აქედან გამომდინარე, გერმანიაში მოქმედი საყოველთაობის პრინციპის²¹ მიხედვით მხედველობაში მიიღება სსკ-ის §9-ის პირველი ნაწილის შესაბამისად ქმედების ჩადენის ადგილთან დამაკავშირებელი ფაქტორი მოქმედებისა და შედეგის სახით. ამ პრინციპის თანახმად „ქმედება ჩადენილია ყველა იმ ადგილზე, რომელზეც დამნაშავემ იმოქმედა, ან უმოქმედობის შემთხვევაში უნდა ემოქმედა ან რომელზეც ქმედებით გათვალისწინებული შედეგი დადგა ანდა დამნაშავეს წარმოდგენით ასეთი შედეგი უნდა დამდგარიყო.“ ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს ე.წ. დისტანციურ დელიქტებთან მიმართებით, როდესაც ქმედების ჩადენის და შედეგის დადგომის ადგილები ერთმანეთს არ ემთხვევა.²²

ქმედების ორივე ადგილთან მიმართებით განსახილველ შემთხვევაში საკითხავია, მდებარეობენ თუ არა ისინი „ქვეყნის შიგნით“. გერმანული სისხლის სამართლის გამოყენების საკითხი იმ პირობებში, როდესაც სისხლის სამართლის ქმედება ინტერნეტში იქნა ჩადენილი,²³ დიდი ხანია ცხარე განხილვის საგანია. ეს საკითხი ეხება არა მარტო სსკ-ის

Europäisches Strafrecht, 7. Aufl. 2016, § 5 Rn. 7 – a.A. aber etwa NK/Böse, Vor § 3 Rn. 51 f.: ქმედების შემადგენლობის ელემენტი შედეგით, როდესაც პირის განზრახვა შედეგის დადგომას უკავშირდება.

¹⁹ F. Zimmermann, Online-Zeitschrift für Höchstrichterliche Rechtsprechung zum Strafrecht (HRRS) 2015, 441, 442, 445.

²⁰ Kammergericht (KG) Neue Juristische Wochenschrift (NJW) 1999, 3500, 3501.

²¹ Schönke/Schröder/Eser, Vor § 3 Rn. 13; Lackner/Kühl/Heger, § 9 Rn. 1; Hilgendorf, NJW 1997, 1873; Satzger, NSTZ 1998, 112, 113

²² Heinrich, Goldammer's Archiv für Strafrecht (GA) 1999, 72, 75; ders., Festschrift für Ulrich Weber (FS Weber), hrsg. von Heinrich/Hilgendorf/Mitsch/Sternberg-Lieben, 2004, S. 91.

²³ შეად. სხვადასხვა შემთხვევებთან Heinrich, FS Weber, 2004, S. 91, 93 ff.

¹⁴ NK/Paeffgen, § 86a Rn. 13.

¹⁵ Spindler/Schuster/Gercke, § 86a Rn. 5; Schönke/Schröder/Sternberg-Lieben, § 86a Rn. 6.

¹⁶ MüKo/Steinmetz, § 86a Rn. 6.

¹⁷ Heinrich, NSTZ 2000, 533, 534; MüKo/Steinmetz, § 86a Rn. 6.

¹⁸ MüKo/Ambos, Vor § 3 Rn. 3; Schönke/Schröder/Eser, Vor § 3 Rn. 79; Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, 2014, § 14 Rn. 66; Safferling, Internationales Strafrecht, 2011, § 3 Rn. 5; Satzger, Internationales und

§§86, 86ა-ს, არამედ გამოხატვასთან დაკავშირებულ ყველა დელიქტს, და მას „ქვეყნის შიგნით“ ქმედების შემადგენლობის ელემენტის არსებობისგან დამოუკიდებლად მიყვავართ სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლების საკითხამდე. მაგალითად, როდესაც დამნაშავე მსხვერპლს არა პირისპირ, არამედ ინტერნეტ-სივრცეში შეურაცხყოფს, გადასაწყვეტი იქნება გერმანიაში სსკ-ის §185-ით დასჯადი შეურაცხყოფის არსებობის საკითხი, თუმცა ისევე დასაადგენი იქნება სსკ-ის §3, 9 მოიცავენ თუ არა ამგვარი ვითარების მონესრიგებას. ასეთი ინტერნეტ-შემთხვევების დარეგულირებასთან მიმართებით სხვადასხვა მოსაზრება გამოითქმება, რაც აქ მხოლოდ მოკლედ იქნება გადმოცემული.²⁴ პირველ რიგში ყურადღება უნდა გამახვილდეს ქმედების ადგილზე. საკითხავია, რომელ ადგილზე მოქმედებს დამნაშავე, რომელიც კონკრეტული შინაარსის მქონე მასალას ინტერნეტში განათავსებს. ყველაზე მარტივად შესაფასებელ შემთხვევაში დამნაშავე სხეულებრივად იმყოფება გერმანიაში და იქიდან ტვირთავს შესაბამის მონაცემებს. ასეთ შემთხვევაში მოქმედების ადგილი გერმანიაში უპრობლემოდ არის მოცემული.²⁵ ჩვენ განსახილველ მაგალითში კი ქმედების ჩადენის ადგილი საზღვარგარეთ, ჩეხეთში მდებარეობს. შეიძლება თუ არა ამ შემთხვევაშიც ქმედების ადგილად გერმანია მივიჩნიოთ, ძალიან საეჭვოა.

ქმედების ჩადენის ადგილი განსაკუთრებით ფართოდ განმარტა სააპელაციო სასამართლომ. კერძოდ, მისი შეფასებით დამნაშავე, რომელიც ანტიკონსტიტუციური ორგანიზაციისთვის დამახასიათებელ სიმბოლოს საზღვარგარეთიდან ტრანსნაციონალური სატელევიზიო მაუწყებლობით გერმანიის ტერიტორიაზე აღქმადს ხდის, ეს ქმედება „ქვეყნის შიგნით“ მოქმედებად განიმარტება.²⁶ გადანყვეტილებას საფუძვლად დაედო შემთხვევა, რომელშიც პოლონეთსა და გერმანიას შორის ფეხბურთის მატჩის დაწყებამდე პოლონეთში ერთერთმა პირმა გერმანიის ეროვნული ჰიმნის მიმდინარეობის დროს მარჯვენა ხელით ე.წ. „ჰიტლერის

მისალმება“ აჩვენა. აღნიშნული კადრი სატელევიზიო ჩანაწერებით გადაიკა გერმანიის პირდაპირ ეთერში და ასევე მოგვიანებით საინფორმაციო გადაცემებში და ინტერვიუებში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ანტიკონსტიტუციური სიმბოლოს გამოყენების ქმედება არა მხოლოდ დამნაშავის ადგილსამყოფელზე განხორციელდა, არამედ ასევე იმ სივრცეში, სადაც ამ ქმედების აღქმა შესაძლებელი გახდა.²⁷ აღნიშნული კი, თავის მხრივ ნიშნავს, რომ მაგალითად ის პირი, რომელიც შეურაცხყოფელ განცხადებას აკეთებს, არა მხოლოდ იმ ადგილზე მოქმედებს, სადაც ის ფიზიკურად იმყოფება, არამედ ყველგან, სადაც მისი ნათქვამის გაგონება შესაძლებელია, ანუ გარკვეულ აკუსტიკურ რადიუსში. ასეთი აღქმადობა კი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეიძლება დიდ მანძილზე გავრცელდეს.²⁸ სსკ-ის §86ა-სთან დაკავშირებული შემთხვევისთვის აღნიშნული მსჯელობით შესაძლებელია დასაბუთდეს, რომ სიმბოლოს „გამოყენების“ წინაპირობაა აკუსტიკური აღქმადობის შექმნა, ისე რომ იგი ქმედების შემადგენლობის ელემენტს მიეკუთვნება. სასამართლო ამ განმარტების შედარებით შესაზღუდად ითხოვდა უშუალო დროით კავშირს.²⁹ ინტერნეტსა და განსახილველ მაგალითზე აღნიშნული განმარტების გადატანის შემთხვევაში შეიძლება დავასკვნათ, რომ ა არა მხოლოდ ჩეხეთში, არამედ (მინიმუმ უშუალო დროითი კავშირის არსებობისას) ყველა იმ ადგილზე მოქმედებდა, სადაც მისი მოქმედება აღქმადი იყო. ეს მოსაზრება გაბატონებული შეხედულების თანახმად არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან მას სხვა პრობლემებთან ერთად ქმედებისა და შედეგის გაბუნდოვნების საფრთხე ახლდა თან.³⁰ ამის მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დაეყრდნოს გერმანული რაიხის უზენაესი სასამართლოს (RG)³¹ „გრძელი ხელის თეორიას“. თუმცა ეს შეხედულება ისტორიულად იმით იყო განპირობებული, რომ იმპერიის სსკ-ის §3-ის თანახმად სისხ-

²⁴ განსხვავებული მოსაზრებების სრული მიმოხილვა, შესაბამისად არ არის მოსალოდნელი; საფუძვლიანად, MüKo/Ambos, § 9 Rn. 26 ff.; Schönke/Schröder/Eser, § 9 Rn. 7 ff.; Sieber, NJW 1999, 2065;

²⁵ LK/Werte/Jeßberger, § 9 Rn. 78.

²⁶ KG NJW 1999, 3500.

²⁷ KG NJW 1999, 3500, 3502

²⁸ KG NJW 1999, 3500, 3502.

²⁹ KG NJW 1999, 3500, 3502.

³⁰ შეად. მხოლოდ NK/Böse, § 9 Rn. 4; Heinrich, FS Weber, 2004, S. 91, 98 ff.; ders., NSTz 2000, 533, 534; Sieber, NJW 1999, 2065, 2070; Valerius, HRRS 2016, 186, 187; LK/Werte/Jeßberger, § 9 Rn. 84.

³¹ RGSt (Amtliche Sammlung der Entscheidungen des Reichsgerichts in Strafsachen) 23, 155, 156 f.

ლის სამართლის კანონი გამოიყენებოდა ქმედებისა და შედეგის მკაფიო განსხვავების გარეშე და არც საყოველთაობის პრინციპს განამტკიცებდა კანონით.³² მას შემდეგ რაც ამ თეორიით შედეგის დადგომის ადგილი მხედველობაში იქნა მიღებული გერმანიის სსკ-ის §9-ით, იგი გაბატონებული შეხედულებით შინაარსობრივად გაუმჯობესდა.³³ ამასთან, უზენაესმა სასამართლომ წერილთან დაკავშირებით განვითარებული მსჯელობის ინტერნეტზე გადატანა არამართებულად მიიჩნია.³⁴

ინტერნეტ-მასალასთან მიმართებით ნაწილობრივ მხედველობაში მიიღება შესაბამისი სერვერის ადგილსამყოფელი, ვინაიდან თავდაპირველად სწორედ სერვერზე ხდება სოციალურად მავნებელი მოვლენა.³⁵ აქედან გამომდინარე, ფიზიკურად საზღვარგარეთ მყოფი პირი თუ (გამიზნულად) რაიმეს ატვირთავს სერვერზე, რომელიც ტერიტორიულად გერმანიაშია, იგი „ქვეყნის შიგნით“ მოქმედებს. არც ამ მოსაზრებაზე დაყრდნობაა შესაძლებელი, ვინაიდან სერვერის ადგილსამყოფელი წმინდა შემთხვევითობას შეიძლება წარმოადგენდეს და ასევე სიტყვასიტყვითი განმარტებით „მოქმედება“ ფიზიკური ადგილმდებარეობით შემოფარგულზე მიანიშნებს.³⁶

გავრცელებული აზრი მხოლოდ ამ ადგილთან მიმართებით აფუძვნებს მოქმედების ადგილს სსკ-ის §9-ის და შესაბამისად სსკ-ის §86a-ს გაგებით, რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე სისხლისსამართლებრივად მხოლოდ იმ ადგილზე მოქმედებს, სადაც ის ფიზიკურად იმყოფება.³⁷ ჩვენ შემთხვევაში აღნიშნული ნიშნავს, რომ ინტერნეტსივრცეში მასალების ატვირთვის დროს მოქმედების ადგილი იყო ჩეხეთი. სისხლისსამართლებრივი დასჯადობის კუთხით შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ უმოქმედობა, რადგან ა-მ მონაცემები ინტერნეტში განთავსების შემდეგ მოგვიანებით, გერმანიაში ყოფნის პერიოდშიც არ წაშალა. უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის ადგილად, სსკ-ის §9-ის პირვე-

ლი აბზაცის მეორე ვარიანტის თანახმად ითვლება ის ადგილი, სადაც დამნაშავეს უნდა ემოქმედა, შესაბამისად დამნაშავეს ყოველი ადგილსამყოფელი, სანამ მისი მოქმედების ვალდებულება არსებობდა.³⁸ გერმანიაში ასეთი მოქმედების ვალდებულება წარმოიშობოდა მას შემდეგ, რაც ა გერმანიაში დაბრუნდებოდა. აღნიშნულის წინაპირობა იქნებოდა, რომ სსკ-ის §13, რომელიც შედეგის დადგომის თავიდან აცილების დროს უმოქმედობას მოითხოვს, §86a-ს შემთხვევაზე ვრცელდებოდა.³⁹ ამასთან, წინაპირობა იქნებოდა ასევე, რომ ასეთი სამართლებრივი გარანტის ფუნქცია – დამნაშავეს მიერ განზრახ ჩადენილი ქმედებით გამონვეული საფრთხის თავიდან აცილება თავად ამ დამნაშავეს მიმართ არსებობდეს, რაც უზენაესმა სასამართლომ განზრახ მკვლელობასთან დაკავშირებით უარყო.⁴⁰

მას შემდეგ, რაც ქმედების ჩადენის ადგილი არ არსებობს, განსახილველია შედეგის დადგომის ადგილის საკითხი. ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის გერმანიაში დადგომის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სსკ-ის §9-ის პირველი აბზაცის მესამე ვარიანტის შესაბამისად ქმედების ადგილად გერმანიის დასაბუთება. ამგვარად, უკვე განხილულ მაგალითში ინტერნეტ გვერდზე შეურაცხყოფის შესახებ ქმედების ჩადენის ადგილი არის არა მხოლოდ დამნაშავეს ადგილსამყოფელი, სადაც მან შეურაცხყოფელი განცხადება გააკეთა და ინტერნეტ-გვერდზე განათავსა, არამედ ასევე შედეგის დადგომის ადგილი, სადაც მსხვერპლისთვის ეს შეურაცხყოფა აღქმადი გახდა.⁴¹ ამგვარი შედეგის დადგომის ადგილის არსებობა სსკ-ის §86a-სთან მიმართებით უმეტესად უარყოფილია. ეს ნორმა, სამართლებრივი სიკეთის დაცვის გათვალისწინებით წარმოადგენს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს.⁴² აქამდე გაბატონებუ-

³⁸ NK/Böse, § 9 Rn. 7.

³⁹ აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების უმოქმედობით ჩადენის შესაძლებლობის შესახებ BGHSt 46, 212, 222; Heinrich, GA 1999, 72, 77; Sieber, NJW 1999, 2065, 2068.

⁴⁰ BGH Neue Zeitschrift für Strafrecht-Rechtssprechungs-Report (NStZ-RR) 1996, 131.

⁴¹ BGHSt 46, 212, 225; NK/Böse, § 9 Rn. 10.

⁴² KG NJW 1999, 3500, 3502; BeckOK/Ellbogen, § 86a Vor Rn. 1; Spindler/Schuster/Gercke, § 86a Rn. 1; Lackner/Kühl/Kühl, § 86a Rn. 1; NK/Paeffgen, § 86a Rn. 2; MüKo/Steinmetz, § 86a Rn. 2.

³² დანვრილებით Heinrich, FS Weber, 2004, S. 91, 100 ff.

³³ NK/Böse, § 9 Rn. 4; Heinrich, FS Weber, 2004, S. 91, 100 f.; Sieber, NJW 1999, 2065, 2070.

³⁴ BGHSt 46, 212, 225.

³⁵ Schönke/Schröder/Eser, § 9 Rn. 7b.

³⁶ Hilgendorf, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft (ZStW) 113 (2001), 650, 666; Sieber, NJW 1999, 2065, 2070; LK/Werle/Jeßberger, § 9 Rn. 80.

³⁷ შეად. მხოლოდ Heinrich, FS Weber, S. 98 ff.; LK/Werle/Jeßberger, § 9 Rn. 79.

ლი შეხედულების თანახმად აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებისთვის არ მოითხოვება სსკ-ის §9-ის პირველი აბზაცის მესამე ვარიანტით გათვალისწინებული „ქმედების შემადგენლობას მიკუთვნებული შედეგის“ არსებობა, ვინაიდან ქმედების შემადგენლობის ზოგადი თეორიის მიხედვით ასეთი დელიქტებისთვის შედეგის დადგომა სავალდებულო არ არის.⁴³ კანონმდებელი აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან მიმართებით დასჯადად აცხადებს ქმედებას, კონკრეტული ფაქტობრივი საფრთხის მდგომარეობის არსებობის გარეშე.⁴⁴ ეს პრობლემა ძირითადად მწვავეა ყველა აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთან და მსგავსი შინაარსის კონსტელაციებთან დაკავშირებით, თუმცა ასევე განიხილება ამ შემთხვევაში საინტერესო ინტერნეტსივრცეში ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით.⁴⁵ ამდენად შესაძლებელია დანაშაულის სპეციფიურობის გათვალისწინებით პრობლემის გადაჭრაზე საუბარი, როცა გერმანული სისხლის სამართლის კანონის გამოყენება კონკრეტული დელიქტის ფაქტობრივ გარემოებებზე დამოკიდებული.⁴⁶

მსგავსი მიდგომა განავითარა უზენაესმა სასამართლომ *ტობიენის (ადელაიდის ინსტიტუტი)* საქმის განხილვისას ინტერნეტში გამოთქმული სიძულვილის ენის სისხლისსამართლებრივ დასჯადობასთან მიმართებით სსკ-ის §130-ის პირველი და მესამე აბზაცების მიხედვით.⁴⁷ ამ საქმეში ავტრალიის მოქალაქემ, რომელიც ავსტრალიაში იმყოფებოდა, ავსტრალიაში არსებულ სერვერზე შეინახა პუბლიკაციები, რომლებშიც ის ჰოლოკოსტის ფაქტს უარყოფდა. ვინაიდან აღნიშნულზე ინტერნეტის მეშვეობით გერმანიიდანაც შესაძლებელი იყო წვდომა, დადგა სისხლისსამართლებრი-

ვი დასჯადობის საკითხი სსკ-ის §130-ის მესამე აბზაცის თანახმად. სსკ-ის §130-ის პირველი და მესამე აბზაცების მიხედვით დასჯადია ნაციონალ-სოციალიზმის მმართველობის დროს საერთაშორისო სისხლის სამართლის შესახებ კანონის §6-ის პირველი აბზაცით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების საჯაროდ ან შეკრების დროს მოწონება, უარყოფა ანდა უმნიშვნელოდ წარმოჩენა, რაც საკმარისია საჯარო მშვიდობის დარღვევისთვის. აღნიშნული ნორმის თავისებურებაც დაკავშირებულია გერმანიის წარსულთან. იქიდან გამომდინარე, რომ განსახილველ შემთხვევაში ქმედების ჩამდენი პირი ავსტრალიაში იმყოფებოდა, აქაც უნდა დადგინდეს, ჩაითვლება თუ არა ქმედების ჩადენის ადგილად გერმანია. ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ ქმედების ჩადენის „გაგრძელება“ ტექნიკური მედიის საშუალებით არ მოისურვა და ქმედების ჩადენის ადგილად მხოლოდ ავსტრალია მიიჩნია, მნიშვნელოვანი გახდა შედეგის ადგილის განსაზღვრა. უზენაესმა სასამართლომ პრობლემა გადაჭრა დელიქტის სპეციფიურობის გათვალისწინებით, რამდენადაც მან სსკ-ის §130-ის მესამე აბზაცში „აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტი“ დაინახა.⁴⁸ კერძოდ, ქმედების შემადგენლობა მოითხოვს „საჯარო მშვიდობის დარღვევის საფრთხეს“. მიუხედავად იმისა, რომ დელიქტის ეს ფორმა აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების ქვეშემთხვევას წარმოადგენს,⁴⁹ უზენაესი სასამართლო არ იყო ვალდებული საკითხი შედეგის დადგომის ადგილის შესახებ აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან მიმართებით დეტალურად განეხილა, ვინაიდან მან დაუშვა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებში შედეგი სსკ-ის §9-ის პირველი აბზაცის მესამე ვარიანტის შესაბამისად ივარაუდებოდა.⁵⁰ კერძოდ, სასამართლოს განმარტების მიხედვით შედეგი დადგა იქ, სადაც „კონკრეტულ ქმედებას ქმედების შემადგენლობაში მითითებულ სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის წარმოშობა შეუძლია“.⁵¹ ამგვარი განმარტებით უზენაესი სასამართლოს მიერ ხდება არა ქმედების შემადგენლობას განკუთვნილი შედეგის ცნების და-

⁴³ KG NJW 1999, 3500, 3502; BeckOK/Ellbogen, § 86a Rn. 14.2; Schönke/Schröder/Eser, § 9 Rn. 6a; Lackner/Kühl/Heger, § 9 Rn. 2; Hilgendorf, NJW 1997, 1873, 1876; ders., ZStW 113 (2001), 650, 663; Satzger, NStZ 1998, 112, 114; ders., Internationales und Europäisches Strafrecht, § 5 Rn. 25 ff.; MüKo/Steinmetz, § 86 Rn. 8.

⁴⁴ „აბსტრაქტული საფრთხის“ ცნების კრიტიკისთვის Hilgendorf, ZStW 113 (2001), 650, 662 f., ვინაიდან ასეთი საფრთხე მოცემული არ არის.

⁴⁵ MüKo/Ambos, § 9 Rn. 27.

⁴⁶ შეად. ასეთ კლასიფიკაციასთან მიმართებით MüKo/Ambos, § 9 Rn. 28; Hilgendorf, ZStW 113 (2001), 650, 661.

⁴⁷ BGHSt 46, 212.

⁴⁸ BGHSt 46, 212, 220 ff.

⁴⁹ Satzger, NStZ 1998, 112, 114.

⁵⁰ BGHSt 46, 220 f.

⁵¹ BGHSt 46, 212, 221.

ვინროება ნამდვილ შედეგიან დელიქტებში, არამედ იგი აღიარებს ცნების იმ განსაზღვრებას, რომელიც დელიქტის სხვა ტიპებსაც მოიცავს. სასამართლო ღიად ტოვებს საკითხს იმის შესახებ, წმინდა აბსტრაქტული საფრთხის რეალიზების დროს ნებისმიერ შემთხვევაში შედეგი უნდა ივარაუდებოდეს თუ არა.⁵² ამისგან სანინალდეგოდ სხვა შეხედულებით აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტს ძირითადად შედეგიც მიეკუთვნება სსკ-ის §9-ის პირველი აბზაცის მესამე ვარიანტზე დაყრდნობით.⁵³ ეს მდგომარეობს ქმედების გავლენაში, რომელიც კანონმდებელმა საკმარისად დაინახა⁵⁴ განსაკუთრებით იქ, სადაც აბსტრაქტული საფრთხე კონკრეტულ საფრთხედ შეიძლება გარდაიქმნას.⁵⁵ ამასთან დაკავშირებით აპელირება ხდება იმ გარემოებაზე, რომ გერმანული სისხლის სამართლის კანონის გამოყენების სფეროს დავინროება კანონმდებლის მიზანი არ ყოფილა სსკ-ის § 9-ის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების დროს. უფრო მეტად მიზანს წარმოადგენდა სისხლის სამართლის კანონის გამოყენების შესაძლებლობა ყოველთვის, როდესაც ქვეყნის შიგნით დაცული სამართლებრივი სიკეთე დაზიანდებოდა ან დაზიანების საფრთხე შეექმნებოდა,⁵⁶ რის თავიდან აცილებასაც ხსენებული ნორმის მოქმედება ემსახურება.⁵⁷

სხვა მოსაზრება უპირატესობას ანიჭებს სხვა გზას და დელიქტების საფრთხის შემქმნელ და შედეგიან დელიქტებად კლასიფიცირებისგან დამოუკიდებლად, ქმედებასთან და შედეგთან ერთად ძირითადად აღიარებს ასევე ე.წ. „დანაშაულებრივი ქმედების შედეგს“.⁵⁸ ეს მიდგომა საჭიროდ არ მიიჩნევს „ქმედების შემადგენლობას მიკუთვნებული შედეგი“ ზოგადად სისხლის სამართალში დამკვირდებული შედეგის ცნებით გაგებას.⁵⁹ უფრო

მნიშვნელოვანია, რომ დამნაშავეის საზღვარგარეთ ყოფნის დროს მისი ქმედების განხორციელება „ქვეყნის შიგნით“ შესაძლებელი იყოს.⁶⁰ აღნიშნული მოსაზრება დაფუძნებულია იმაზე, რომ შედეგიან დელიქტების განსხვავება საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან მიმართებით სისხლის სამართლის ზოგადი სწავლების თანახმად გამიჯვნის დიდ სირთულეებს უკავშირდება.⁶¹ გარდა ამისა, ეს მოსაზრება ამასთანავე ხაზს უსვამს ნორმის წარმოშობის ისტორიას და განმარტებას გერმანიის იმპერიის სსკ-ის §3-ის თანახმად.⁶² ამ უკანასკნელმა საზღვარგარეთიდან გერმანიის ტერიტორიაზე გამოგზავნილ წერილთან მიმართებით, რომელშიც აკრძალული მომგებიანი ბილეთები იყო მოთავსებული, გერმანული სისხლის სამართლის კანონის გამოყენება მიზანშეწონილად ჩათვალა, ვინაიდან ფიზიკურ მოქმედებასთან ერთად ასევე მოქმედებით გამოზნული ზეგავლენაც მოქმედების ნაწილად მოიაზრებოდა.⁶³ ამჟამად სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებასთან ამ განმარტების მსგავსება, რომელიც მოქმედების ცნებას აფართოებს. აღნიშნული შეხედულების გაზიარების შემთხვევაში საკითხავი ხდება, საუბარია ფაქტობრივად შედეგის დადგომის ადგილის განსაზღვრებაზე, როგორც ამაზე მისი წარმომადგენლები მიუთითებენ, თუ უფრო მეტად მოქმედების ადგილზე.⁶⁴ ამ მოსაზრების თანახმად, ქმედების შედეგი ქვეყნის შიგნით დგება ყოველთვის, როდესაც ის ქმედების ჩამდენი პირის მოქმედების დაგვირგვინებას წარმოადგენს. მაგალითად, როდესაც ქმედების ჩამდენი საზღვარგარეთიდან გერმანიაში რაიმე წერილობით დოკუმენტს აგზავნის, სახეზეა მისი გავრცელება, ხოლო ინტერნეტ-შემთხვევების დროს მოცემულია არსებითი მნიშვნელობის „ხელმისაწვდომობა“, – როდესაც ის კომპიუტერული სისტემების მისამართით იმეილს აგზავნის უცხოურ სერვერზე მისი შენახვის გარეშე და გერმანელი მომხმარებლის მიერ მისი გამოძახებით. ამდენად ერთმანეთისგან განირჩევა

⁵² BGHSt 46, 212, 221.

⁵³ Hecker, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik (ZIS) 2011, 398, 400; Heinrich, GA 1999, 72, 77 ff.; ders., NSTZ 2000, 533, 534; ders., FS Weber, 2004, S. 108; LK/Werte/Jeßberger, § 9 Rn. 28 ff., 89.

⁵⁴ Heinrich, GA 1999, 72, 79.

⁵⁵ LK/Werte/Jeßberger, § 9 Rn. 89.

⁵⁶ Heinrich, GA 1999, 72, 77; შეად. ასევე BGHSt 46, 212, 220

⁵⁷ Heinrich, GA 1999, 72, 77; შეად. ასევე BGHSt 46, 212, 220.

⁵⁸ Sieber, NJW 1999, 2065, 2068.

⁵⁹ Sieber, NJW 1999, 2065, 2068.

⁶⁰ Sieber, NJW 1999, 2065, 2068 f.

⁶¹ Sieber, NJW 1999, 2065, 2069 f.

⁶² Sieber, NJW 1999, 2065, 2069.

⁶³ RGSt 1, 274, 276.

⁶⁴ ამ უკანასკნელ გაგებასთან მიმართებით LK/Werte/Jeßberger, § 9 Rn. 85: „Der Sache nach ... Erweiterung des Begriffes des Handlungsortes“.

„Push“- და „Pull“-ტექნოლოგიები“.⁶⁵ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ჩვენ განსახილველ შემთხვევაში საკმარისი არ იქნებოდა რამდენიმე ინტერნეტ-მომხმარებლის მიერ პლატფორმის შინაარსზე ინტერნეტწვდომა, არამედ უფრო მეტად მნიშვნელობა მიენიჭებოდა სერვერის ადგილსამყოფელს.

III. გადანყვეტილების ძირითადი ასპექტები

უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა ა-ს დასჯაზე. მისი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ა-მ ცალსახად გამოიყენა ანტიკონსტიტუციური ორგანიზაციისთვის დამახასიათებელი სიმბოლო, მის ქმედება „ქვეყნის შიგნით“ არ განხორციელებულია. მესამე სენატმა ამგვარად უარყო ქმედების ადგილის არსებობა და შეუერთდა ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მოქმედების ადგილი არსებობს იქ, სადაც თავად პირი აქტიური მოქმედების დროს იმყოფება. მან არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს აზრი, ვინაიდან უზენაესი სასამართლოს განმარტებით, აღქმადობის რადიუსი თავად ქმედების ნაწილს არ წამოადგენდა. აქედან გამომდინარე, არ იქნა გაზიარებული არც ის თეორია, რომელიც სერვერის ადგილსამყოფელის გათვალისწინებას ემხრობოდა. ასევე, სასამართლომ ინტერნეტის წმინდა ტექნიკურ პროცესებთან მიმართებით უარი თქვა სსკ-ის § 25-ის პირველი აბზაცის მეორე ალტერნატივის მიხედვით შუალობითი ამსრულებლობის ან სსკ-ის § 25-ის მეორე აბზაცის შესაბამისად თანამსრულებლობის ა-სთვის შერაცხვაზე. შესაბამისად, მესამე სენატმა ასევე ღიად დატოვა საკითხი, უერთდება თუ არა ზემოთ განხილულ ინტერნეტში (სიმბოლოს) გავრცელების სპეციფიურ ცნებას, რომელიც (სიმბოლოს) მატერიალური სახით გავრცელებას მნიშვნელობას არ ანიჭებს, ნაწილობრივ ქმედების შემადგენლობის ელემენტის – „გამოყენების“ ფართო მნიშვნელობის გამო არც ამის საჭიროება არსებობს. სასამართლო ასევე უარს ამბობს უმოქმედობის დასჯადობაზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოცემული არ იყო უმოქმედობის დასჯადობისთვის აუცილებელი წინარე ქმედება და ამით გამოწვეული

მოქმედების ვალდებულება.⁶⁶ ასევე ვერ მიეთითება შედეგის დადგომის ადგილად გერმანიაზე, ვინაიდან სსკ-ის § 86a საფრთხის შემქმნელი დელიქტია და ქმედების შემადგენლობის ელემენტად შედეგს არ ითვალისწინებს. „შედეგის დადგომის ადგილი“ ნორმის დაცვის მიზნიდან გამომდინარე რომც დავასაბუთოთ, ამ შემთხვევაშიც სავალდებულო იქნებოდა, რომ გარესამყაროზე მომხდარი ქმედებისგან გამომდინარე სივრცითი ან დროითი ცვლილება იყოს სახეზე. სასამართლოს განმარტებით, განსაკუთრებით აბსტრაქტული საფრთხის შემცველ დელიქტებში, რომლებშიც სისხლისსამართლებრივი დაცვა წინარე ეტაპზე გადმოდის, საერთაშორისო სამართალთან კავშირის მქონე ყველა შემთხვევის მონესრიგება ვერ მოხდება. სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლის საწინააღმდეგო ნებაც კი ვერ აისახება სსკ-ის § 9-ით აშკარად გამოხატულ ფორმულირებაში.

IV. საკუთარი პოზიცია და დასკვნები

მესამე სენატის აზრით გაზიარებულ უნდა იქნეს დელიქტის სპეციფიურობის გათვალისწინებით პრობლემის გადაჭრა, რომლის მიხედვითაც კანონმდებელს შეუძლია კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების შესაბამისი აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებად გარდაქმნით გერმანული სისხლის სამართლის კანონი საზღვარგარეთ მოქმედების ჩადენის დროსაც გამოიყენოს, აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების დაფუძნებით კი ეს შეუძლებელია. ეს დასკვნა უცნაურია იმდენად, რამდენადაც აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებით კანონმდებელს სამართლებრივი სიკეთის წინასწარი სისხლისსამართლებრივი დაცვა სურს.⁶⁷ უფრო მეტიც, გერმანული სისხლის სამართლის კანონის გამოყენება სსკ-ის §86a-ს ნორმის თავისებურების გამო მაშინაც ვერ იქნებოდა შესაძლებელი, ამ ნორმით დაცული სამართლებრივ სიკეთეს კონკრეტული საფრთხის შექმნა ან დაზიანება რომ ემუქრებოდეს.⁶⁸ შესაბამისად, ა კარგად იყო ინფორმირებულ

⁶⁶ შეად. F. Zimmermann, HRRS 2015, 441, 444 f..

⁶⁷ Heinrich, NSTZ 2000, 533, 534.

⁶⁸ შეად. auch Hecker, JuS 2015, 274, 276: „paradoxes Ergebnis“; Valerius, HRRS 2016, 186, 187: „kurioses Ergebnis“.

⁶⁵ Sieber, NJW 1999, 2065, 2071.

ლი, ჩეხეთის ახლოსმდებარე საზღვრის გადალახვით მისი პლატფორმის სისხლისსამართლებრივად დაუსჯელად მოწყობის შესახებ, თუმცა აშკარაა, რომ პლატფორმის შინაარსი გერმანიაში მყოფი ინტერნეტ-მომხმარებლისთვისაა გამიზნული. ეს შედეგი დამაკმაყოფილებლად არ გამოიყურება. ჩემი აზრით, პრობლემის სამართლიანად გადაჭრისთვის გადამწყვეტია ორ განსხვავებულ საკითხზე ყურადღების გამახვილება.⁶⁹ პირველ რიგში ზოგადად დასადგენია სსკ-ის §9-ის *ratio legis* განმარტება. ამასთან, განსასაზღვრია სისხლის სამართლის კანონის გამოყენების გონივრული წესი საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს ნორმის საერთაშორისო სამართლებრივად განმარტებას ანდა ნორმის დავინროებას.⁷⁰ სხვა სიტყვებით, ერთის მხრივ განსახილველია, სსკ-ის §9-ის პირველი აბზაცის შესაბამისად მოქმედების და შედეგის განსაზღვრისა და ერთმანეთისგან გამიჯვნის საკითხი, მეორე მხრივ გასათვალისწინებელია, საერთაშორისო სამართლებრივად რამდენად დასაშვებია გერმანიაში სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯადობის განხორციელება.⁷¹ უზენაესი სასამართლოს მიდგომა, გერმანული სისხლის სამართლის კანონის საერთაშორისო სამართლებრივად შეზღუდულად გამოყენების შესახებ მისასალმებელია, თუმცა მას არ გაურკვევია საკითხი, სსკ-ის §86-ს აბსტრაქტული საფრთხის შემქნელი დელიქტი მიუთითებს თუ არა შედეგზე სსკ-ის §9-ის გაგებით.⁷²

დასახელებულ პირველ ასპექტთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლო სსკ-ის §9-ის პირველი აბზაცის პირველი ვარიანტის გაგებით მოქმედების ადგილთან დაკავშირებულ გადანყვეტილებას შეუზღუდავ აღიარებას ანიჭებს.⁷³ დამაჯერებელია განმარტება ქმედების ჩამდენის მხოლოდ ფიზიკური ადგილსამყოფლის გათვალისწინების შესახებ⁷⁴ და არა მაგალითად სერვერის „ვირტუალური ად-

გილსამყოფლის“ თაობაზე. ასევე საზღვარგარეთიდან შემთხვევით თუ გამიზნულად რაიმე მონაცემების გერმანულ სერვერზე განთავსების შემთხვევაში პირი მოქმედებს საზღვარგარეთ.⁷⁵ ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, თითქოს ქმედების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ამ ქმედების აღქმადობის რადიუსი,⁷⁶ მთლიანობაში მოწონებას არ იმსახურებს, ვინაიდან ქმედების გავლენა ქმედებისგან გამიჯნულად უნდა იქნეს განხილული. ასევე გაუგებრად გამოიყურება მოსაზრება, რომ ადამიანი ერთდროულად რამდენიმე ადგილზე „მოქმედებდეს“, ვინაიდან ის საბოლოოდ ფიზიკურად მხოლოდ ერთ ადგილზე იმყოფება. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მან დროში მცირე დაყოვნებით იმოქმედოს, ვინაიდან მოქმედების შემდგომი ზემოქმედება მოგვიანებით დგება, როგორც სააპელაციო სასამართლოს მაგალითში პირი სურათის გავრცელების დროს უკვე გარდაცვლილი იყო.⁷⁷

კიდევ უფრო მოუქნელი არის შედეგის დადგომის ადგილის განსაზღვრება სსკ-ის §9-ის პირველი აბზაცის მესამე ვარიანტით დადგენილ ფარგლებში. ქმედების შემადგენლობის ზოგადი თეორიაზე დაყრდნობით გავრცელებული ინტერპრეტაცია, რომ მხოლოდ ხელყოფის და კონკრეტულ საფრთხის შემქმნელ დელიქტებს აქვთ შედეგი, რომელიც ქმედების შემადგენლობის ნაწილია, როგორც ამას სსკ-ის §9-ის პირველი აბზაცის მესამე ვარიანტის ფორმულირება ითხოვს, არ არის სავალდებულო. კერძოდ, თუ ვივარაუდებთ, რომ ნორმა ესწრაფვის გერმანული სისხლის სამართლის კანონმა გამოყენება პოვოს ქვეყნის შიგნით სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ან მისთვის საფრთხის შექმნის თავიდან ასაცილებლად, და ამ ზიანის თუ საფრთხის აცილება მოქმედი ნორმის მიზანს წარმოადგენს,⁷⁸ მაშინ ცნება „შედეგის დადგომის ადგილი“ სსკ-ის §9-ის პირველი აბზაცის მესამე ვარიანტში განისაზღვრება სავსებით დამოუკიდებლად და არა ქმედების შემადგენლობის ზოგადი თეორიის მი-

⁶⁹ გამოსაყენებლად *Valerius*, HRRS 2016, 186, 188.

⁷⁰ ამის შესახებ *LK/Werle/Jeßberger*, § 9 Rn. 76.

⁷¹ *Heinrich*, FS Weber, 2004, S. 91, 108.

⁷² ასევე *Valerius*, HRRS 2016, 186, 188.

⁷³ უზენაესი სასამართლოსადმი თანხმობის შესახებ *Hekker*, JuS 2015, 274, 275; *Valerius*, HRRS 2016, 186, 188; *F. Zimmermann*, HRRS 2015, 441, 444.

⁷⁴ *Heinrich*, FS Weber, 2004, S. 91, 98 ff.; *LK/Werle/Jeßberger*, § 9 Rn. 79.

⁷⁵ *LK/Werle/Jeßberger*, § 9 Rn. 79 f. – a.A. *Schönke/Schröder/Eser*, § 9 Rn. 7b; *MüKo/Hörnle*, § 184 Rn. 107.

⁷⁶ *KG NJW* 1999, 3500, 3502.

⁷⁷ ასევე *Heinrich*, NStZ 2000, 533, 534; *ders.*, FS Weber, 2004, S. 91, 105.

⁷⁸ *BGHSt* 42, 235, 242 f.; *BGHSt* 46, 212, 220; *Heinrich*, GA 1999, 72, 77; *LK/Werle/Jeßberger*, § 9 Rn. 33.

ხედვით.⁷⁹ თუ ფორმულირების „ქმედების შემადგენლობას მიკუთვნებული“ შემოტანით კანონმდებლის მიზანი არ იყო სისხლის სამართლის კანონის გამოყენების შეზღუდვაზე ზეგავლენის მოხდენა⁸⁰, მაშინ არც ის არის სავარაუდო, რომ მას გარკვეული დანაშაულის კატეგორიების ზოგადად გამოირიცხვა სურდა. „შედეგის ადგილის“ კონკრეტული განმარტებით სსკ-ის §9-ის პირველი აბზაცის მესამე ვარიანტი⁸¹ შესაძლებელია ასევე ქმედების შემადგენლობისთვის რელევანტური „შუალედური შედეგების“ გათვალისწინება,⁸² ასევე არ შეიძლება სსკ-ის § 86a-სთან მიმართებით „შედეგის“ და ამით ქვეყნის შიგნით საჯარო გამოყენების ელემენტების არსებობის ვარაუდი⁸³ გამოირიცხოს, რამდენადაც ინტერნეტში ატვირთული მონაცემების გერმანიის ტერიტორიიდან გამოძახება შესაძლებელია, ანუ საჯაროდ აღქმადია⁸⁴ და ამით დასახელებული სამართლებრივი სიკეთებისთვის მინიმუმ აბსტრაქტული საფრთხე წარმოიშობა გერმანიის სსკ-ის §130-ის პირველი და მესამე აბზაცების შესაბამისად, რომელსაც კონკრეტულ საფრთხედ გარდაქმნა შეუძლია. უზენაესი სასამართლოს პირველმა სენატმა წარსულში „აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხის შემქნელ დელიქტთან“ მიმართებით ასეთი შედეგი „მშვიდობის დარღვევის საკმარისო-

ბაში“ უკვე დაინახა,⁸⁵ თუმცა ეს აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის ქვეშემთხვევაა. უზენაესი სასამართლოს მესამე სენატმა ამ გზის გავლა მოცემულ გადანყვეტილებაში არ ისურვა, კერძოდ იგი არ გასცდა წმინდა აბსტრაქტული საფრთხის შემქნელ დელიქტს. მისი არგუმენტი, რომ ამგვარად სისხლის სამართლის კანონის ძალიან ფართო გამოყენებისკენ უბიძგებდა, სწორად დასმული პრობლემაა, თუმცა ეხება არა პირველ არამედ მეორე ასპექტს, კერძოდ საკითხს, საერთაშორისო სამართლებრივად სისხლისსამართლებრივი დევნა გერმანიაში როდის არის დასაშვები.

სისხლისსამართლებრივი მექანიზმების საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებთან შეთავსების საკითხი საბოლოოდ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი უნდა იყოს, ვინაიდან ისეთი ფორმალური დანაშაულების დროსაც კი, როგორცაა სსკ-ის §185-ით გათვალისწინებული შეურაცხყოფა ისმის კითხვა, რამდენად მართებულია, საზღვარგარეთ ჩადენილი იგივე ქმედება სისხლისსამართლებრივად იდევნებოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ქვეყნის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებულია.⁸⁶ სხვა სიტყვებით, არა მხოლოდ აბსტრაქტული საფრთხის შემქნელ დელიქტებთან მიმართებით, არამედ მსგავს ინტერნეტ-დანაშაულებთან დაკავშირებითაც განსჯის საგანია, როდის უნდა ამოქმედდეს სისხლის სამართალი საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებთან შეთანხმებით.⁸⁷ გერმანული სისხლის სამართლის კანონის შეზღუდვა გამოყენება არ შეიძლება,⁸⁸ მათ შორის არც შედეგიან დანაშაულებში.

უზენაესმა სასამართლომ *ტობიასის* გადანყვეტილებაში მიუთითა „საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ შემხებლობაზე“ და ეს უკანასკნელი იმაში დაინახა, რომ ქმედება სსკ-ის § 130-ის პირველი და მესამე აბზაცების მიხედვით „მნიშვნელოვან შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სიკეთეს“ ეხება, რომელიც ობიექტურად გერმანიის ტერიტო-

⁷⁹ Hecker, ZIS 2011, 398, 400; ders., JuS 2015, 274, 275; Heinrich, GA 1999, 72, 77; Hörnle, NStZ 2001, 309, 310; Sieber, NJW 1999, 2065, 2068; LK/Werle/Jeßberger, § 9 Rn. 33; შეად. უკვე BGHSt 46, 212, 220 f.

⁸⁰ Heinrich, GA 1999, 72, 77; LK/Werle/Jeßberger, § 9 Rn. 33.

⁸¹ BGHSt 46, 212, 220; Schönke/Schröder/Eser, § 9 Rn. 6.

⁸² NK/Böse, § 9 Rn. 10; Hilgendorf, NJW 1997, 1873, 1875; ders., ZStW 113 (2001), 650, 663; Satzger, Internationales und Europäisches Strafrecht, § 5 Rn. 28. ასე შეიძლება ბოდა, რომ გავრცელების დროს ასეთის სხეულებრივი გადაცემა ყოფილიყო; შეად. აგრეთვე F. Zimmermann, HRRS 2015, 441, 446 f., რომელიც ქმედებას – „გავრცელება“, შედეგის დელიქტად ითვალისწინებს; ასევე Sieber, NJW 1999, 2065, 2070, რომელიც მასში „ქმედებით გამოწვეულ შედეგს“ ხედავს; მაგრამ ასევე შეად. LK/Werle/Jeßberger, § 9 Rn. 83, რომლებიც ამას ქმედების ზემოქმედებას აკუთვნებენ.

⁸³ Hecker, JuS 2015, 274, 275; Heinrich, NStZ 2000, 533, 534.

⁸⁴ შეად. გერმანიის პარლამენტის საკანონმდებლო ინიციატივას სსკ-ის, § 86a-ს სხვაგვარად ფორმულირების შესახებ, რაც გულისხმობს: „ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის შიგნით აღქმადობას“; Bundesrats-Drucksache (BR-Drs.) 27/16 vom 26.2.2016.

⁸⁵ BGHSt 46, 212, 221 f.

⁸⁶ Hilgendorf, NJW 1997, 1873, 1876; ders., ZStW 113 (2001), 650, 663; Hörnle, NStZ 2001, 309, 310.

⁸⁷ LK/Werle/Jeßberger, § 9 Rn. 91 ff.

⁸⁸ გერმანული სისხლის სამართლის კანონის ინტერნეტ-სივრცეში გამოყენების საერთაშორისო სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ Hilgendorf, ZStW 113 (2001), 650, 660 ff.

რიასთან მნიშვნელოვან კავშირში იკვეთება.⁸⁹ უზუნაესმა სასამართლომ ამ მსჯელობით ხაზი გაუსვა მნიშვნელოვან ასპექტს – საქმეში უნდა არსებობდეს ქმედების საკმარისი შიდასახელმწიფოებრივი შემხებლობა.⁹⁰ ამდენად, ფორმალური დანაშაულის დროსაც კი ქვეყნის შიგნით შედეგის დადგომა საკმარისი არ არის, არამედ დამატებით⁹¹ უნდა არსებობდეს განსაკუთრებით მკაფიო კავშირი⁹² გერმანიასთან. ჩვენს შემთხვევაში რამდენიმე ასპექტია ხელმოსაჭიდი, რომლებიც ლიტერატურაში კრიტიკერიუმების სახით იქნა შემოთავაზებული:⁹³ ქმედების ჩამდენი იყო გერმანელი, სადაც ასევე ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი, იგი მიზნად ისახავდა ინტერნეტში განთავსებული მონაცემების გერმანიის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომობას, აღნიშნული მონაცემი შედგენილი იყო გერმანულ ენაზე („არიული მუსიკის ფრაქცია“). მეორე ასპექტთან მიმართებით – თუ როდის არის გამართლებული გერმანიასთან განსაკუთრებული კავშირის დროს საზღვარგარეთ ქმედების ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, დეტალური განხილვის საგანი უნდა იყოს და ამ ასპექტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. გერმანიასთან ამ კავშირის არსებობის დადასტურება *de lege ferenda* კანონმდებლის კომპეტენცია შეიძლება ყოფილიყო.⁹⁴ თუმცა, უზუნაესი სასამართლოსთვის ეს გზა ნებისმიერ შემთხვევაში ჩაკეტილი იყო, ვინაიდან იგი უკვე შედეგის დადგომის ადგილთან მიმართებით უარყოფით გადანყვეტილებამდე მივიდა.

⁸⁹ BGHSt 46, 212, 224.

⁹⁰ LK/Werle/Jeßberger, § 9 Rn. 102.

⁹¹ Hilgendorf, ZStW 113 (2001), 650, 670.

⁹² Hörnle, NSZ 2001, 309, 310 f.

⁹³ შეზღუდვის სხვადასხვა მიდგომებთან მიმართებით Hilgendorf, NJW 1997, 1873, 1876 f.; ders., ZStW 113 (2001), 650, 661 ff.; LK/Werle/Jeßberger, § 9 Rn. 95 ff.

⁹⁴ შეად. კანონმდებლის შესაბამის სურვილთან, გერმანული სსკ-ის §§ 86, 86a-ს სსკ-ის § 5-ის კატალოგში შემოღების თაობაზე, იმ შემთხვევებით შემოფარგვლის ჩათვლით, რომლებშიც ქმედების ჩამდენი პირის ძირითად საცხოვრებელ ადგილს გერმანია წარმოადგენს.; BR-Drs. 27/16; შეად. Valerius, HRRS 2016, 186, 189, რომელიც გერმანიაში მუდმივ საცხოვრებელთან ერთად ქმედების ჩამდენი პირის გერმანიის მოქალაქეობასაც ნორმის აუცილებელ წინაპირობასად შემოიღებას ემხრობა.

ამსრულეზღოზა და თანამონანღლეოზა, ასევე იურიდიული პირის სისხლისსამართლეზრივი პასუხისმგებლოზა საქართველოსა და გერმანიაში*

თსუ-სა და კიოლნის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო (LL.M.) პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომების მიმოხილვა

პროფესორი, სამართლის დოქ. *მარტინ პაულ ვასმერი*, კიოლნის უნივერსიტეტი

გერმანულ-ქართულ სისხლის სამართლის ელ-ჟურნალში წარმოდგენილ ვასმერი/შმიდტის სტატიასთან ერთად, განიხილება ორი შედარებით სამართლებრივი სამაგისტრო ნაშრომი თსუ-სა და კიოლნის უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამიდან.

I. თანამსრულეზღოზა და თანამონანღლეოზა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში

2013/2014 სასწავლო წელს, მაგისტრანტმა ანა კუციამ მის სამაგისტრო ნაშრომში დაამუშავა განზრახ ჩადენილ დანაშაულებში თანამონანღლეობის საკითხები. გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალს საერთო საწყისები გააჩნიათ, რადგან თანამონანღლისა და თანამსრულეზღობის ფიგურების დიფერენცირება ორივეგან დუალისტური მიდგომის შესაბამისად ხდება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის¹ 22-24 მუხლები; გერმანიის სსკ §§25-27). ასევე, უმეტესწილად მსგავსია თანამონანღლის და თანამსრულეზღობის ფორმებიც. კერძოდ, სამართლის ორივე სისტემაში, ამსრულეზღობელი არის პირი, ვინც ქმედებას ახორციელებს უშუალოდ (უშუალო ამსრულეზღობელი საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლი; გერმანიის სსკ-ის §25 აბზაცი 1, პირველი ალტერნატივა), ან სხვა პირის მეშვეობით (შუალობითი ამსრულეზღობელი საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლი; გერმანიის სსკ-ის §25 აბზაცი 1, მეორე ალტერნატივა) ან სხვა პირთან ერთად (თანამსრულეზღობელი – საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხ-

ლი; გერმანიის სსკ-ის §25 აბზაცი 2). სამართლის ორივე სისტემა იცნობს თანამონანღლეობის ისეთ ფორმებს, როგორცაა ნამქეზებლობა (საქართველოს სსკ-ის მუხლი 24, ნან.2; გერმანიის სსკ-ის §26) და დახმარება (საქართველოს სსკ-ის მუხლი 24, ნან.3; გერმანიის სსკ-ის §27). თუმცა, ამას გარდა, ქართულ სამართალში ვხვდებით თანამონანღლეობის ისეთ ფორმას, როგორცაა „ორგანიზატორი“ (საქართველოს სსკ-ის მუხლი 24, ნაწილი 1).

თანამსრულეზღობისა და თანამონანღლეობის გამიჯვნის საკითხებში გერმანულ სისხლის პრაქტიკა გაბატონებული მოძღვრება და სამართალში სასამართლო ერთმანეთს უპირისპირდება.² სასამართლო პრაქტიკა და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ე.წ. „Animustheories“ ემხრობა და მათი მოსაზრებით, ამსრულეზღობისა და თანამონანღლეობის სურვილი (animus auctoris; animus socii) გამომდინარეობს კუმულაციურად ქმედების შედეგისადმი დაინტერესების, თანამონანღლეობის როლის მნიშვნელობის და ქმედებაზე ბატონობის ხარისხის ან მინიმუმ ქმედებაზე ბატონობის სურვილის მიხედვით. ამის საწინააღმდეგოდ კი, გაბატონებული მოძღვრება, რომელიც 1960 წლებში კლაუს როქსინის მიერ იქნა წარმოდგენილი, ქმედებაზე ბატონობის თეორიას უპირატესობას და მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს.³ ქმედებაზე ბატონობაში იგულისხმება განზრახვაში მოაზრებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების „ხელთ პყრობა“ (In-den-Händen-Halten). ამსრულეზღობელი არის ის, ვინც, როგორც ცენტრალური ფიგურა, ქმედების შემადგენლობის განხორციელებას მისი

* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა თამარ ბერიშვილმა.

¹ ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია, როგორც სსკ.

² შეად.: Joecks, Wolfgang, in Münchener Kommentar zum StGB, 2. Aufl. 2011, § 25 Rn. 4 ff.; Waßmer, Martin Paul, in AnwaltKommentar StGB, 2. Aufl. 2015, Vor § 25 Rn. 12 ff.

³ Roxin, Claus, Täterschaft und Tatherrschaft, 9. Aufl. 2015, S. 107 ff.

სურვილისამებ მართავს, ხოლო თანამონაწილეა ის პირი, ვინც როგორც „გვერდზე მდგომი“ ფიგურა ქმედების შემადგენლობის განხორციელებისკენ უბიძგებს ამსრულებელს ან ხელს უწყობს მას. როგორც *კუცია* მიუთითებს, ქართულ სისხლის სამართალში *Animustheorie* აღიარებული არ არის. საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლი ამსრულებლობას უკავშირებს ქმედების ჩადენას (ობიექტურად), სადაც ინტერესს ქმედების შედეგის მიმართ ან შინაგან განწყობას (სუბიექტურად) არანაერი ყურადღება არ ექცევა. ამიტომაც, მართებულად ენიჭება უპირატესობა მოქმედებაზე ბატონობის თეორიას, რასაც, მისი ფორმულირებიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი გამჭვირვალობისა და უსაფრთხოებისათვის.

კუციას მიხედვით, ამსრულებლობის ფორმებიდან, შუალობითი ამსრულებლობა საქართველოშიც ცენტრალურ ადგილზეა. აქ ტიპიურია, რომ „წინა კაცი“ (შემსრულებელი) უმნიშვნელო ადგილზე დგას, ხოლო „უკანა კაცი“ მომხდარს განაგებს, მასზე ბატონობს. თუმცა, გერმანული სამართლისგან განსხვავებით, საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლის ბოლო წინადადება ასახელებს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „წინა კაცს“ ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. შუალობითი ამსრულებლობა სახეზეა მხოლოდ მაშინ, როცა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მხოლოდ „უკანა კაცს“. გერმანული სამართალი იცნობს სამართლებრივი ფიგურას „ამსრულებლის უკან მდგომი ამსრულებელი“ და მას უშვებს, როგორც იშვიათ გამონაკლისს. *კლაუს როქსინმა 1963⁴* წელს შექმნა სამართლებრივი ფიგურა შუალობითი ამსრულებლობა „ორგანიზაციული ბატონობის“ მეშვეობით, რაც 1990-იან წლებში გერმანიის ფედერალური სასამართლო პრაქტიკით იქნა აღიარებული.⁵ ამ სამართლებრივი ფიგურით მოცულია ისეთი შემთხვევები, სადაც ორგანიზაციული ძალაუფლების აპარატი, როგორცაა ტოტალიტარული რეჟიმი ან მაფიოზური გაერთიანებები,

დანაშაულებრივი ქმედებების განსახორციელებლად გამოიყენება. ასეთი სამართლებრივი ფიგურის წინაპირობაა, რომ „უკანა კაცს“ ორგანიზაციული ძალაუფლების აპარატში აქვს ბრძანების გაცემის უფლებამოსილება, როდესაც ასეთი აპარატი სამართლის მიღმა დგას და „წინა კაცი“ ნებისმიერ დროს ჩანაცვლებადია და ამ უკანასკნელის მხრიდან სახეზეა ქმედების განხორციელების ორგანიზაციული მზაობა. მსგავს შემთხვევებში მარტივი თანამონაწილეობის დასჯადობა შეუსაბამოდ მიიჩნევა. ქართულ სისხლის სამართალშიც „ამსრულებლის უკან მდგომი ამსრულებლის“ სამართლებრივი ფიგურა სულ უფრო მეტად ჰპოვებს აღიარებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ ამ სამართლებრივი ფიგურის მოქმედების არეალი კერძო სამენარმეო იურიდიულ პირებზეც გაავრცელა.⁶

როგორც გერმანული, ისე ქართული სამართალი, თანამონაწილეობის შემთვევაში ადგენს, რომ წამქეზებელი ან დამხმარე, სხვა პიროვნებას განზრახვით განსახორციელებელ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაკენ უბიძგებს ან დახმარებას უწევს. თანამონაწილეობის ორივე ფორმა, როგორც *კუცია* აღნიშნავს, გერმანულ და ქართულ სამართალში ძალიან ჰგავს ერთმანეთს. განსხვავებულია ის, რომ გერმანულ სამართალში ვერ შეხვდებით „ორგანიზატორის“ ფიგურას, რომელიც რუსულ სისხლის სამართალში განვითარდა და მისი ინტეგრირება ქართულ სამართალში 1960-იან წლებში მოხდა. საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი და ხელმძღვანელობდა მას. იერარქიულად იგი დგას ამსრულებლის ქვემოთ და ყველა სხვა დანარჩენ თანამონაწილეზე მაღლა. მისი როლი ქმედების განხორციელებაში არ შემოიფარგლება მხოლოდ რჩევების მიცემით, ან დანაშაულის ჩადენის შესახებ გადწყვეტილების მიღების განმტკიცებით, არამედ იგი ასევე, ორგანიზებას უწევს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას ქმედების ჩადენის დაგეგმვითა ან მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებით. სავალდებულო არ არის

⁴ *Roxin, Claus, Goldammer's Archiv für Strafrecht (GA) 1963, 193 ff.*

⁵ BGHSt (Amtliche Sammlung der Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Strafsachen) 40, 218 – NVA; BGHSt. 42, 65 – კედლის დამცველები; BGHSt 45, 270 – პოლიტიკური.

⁶ BGHSt 49, 147, 163 f. – Bremer Vulkan; მხარს არ უჭერს *Roxin, Claus, Strafrecht Allgemeiner Teil, Band II, 2003, § 25 Rn. 129 ff.*

რაიმე ქმედების უშუალოდ მის მიერ განხორციელება ან დანაშაულის ადგილზე პირადად ყოფნა. ისევე, როგორც სხვა თანამონაწილენი, ორგანიზატორიც ორმაგი განზრახვით მოქმედებს. რაც ნიშნავს იმას, რომ მას აქვს ქმედების ჩადენის ცოდნა და სურვილი და ასევე, მისი ორგანიზაციული წვლილის ცოდნა და სურვილი. ორგანიზატორს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება სხვა თანამონაწილეთა დასჯადი ქმედებების გამო, რაზეც მას წარმოდგენა არ ჰქონდა. გერმანულ სამართალში „ორგანიზატორის“ ფიგურა შესაძლებელია, რომ სასამართლო პრაქტიკაში გამოყენებადი Animustheorie-ით, ასევე, გაბატონებული მოძღვრების მიხედვით, რომელიც მოქმედებაზე ბატონობის ფართო გაგებას უჭერს მხარს, განხილულ იქნეს, როგორც თანაამსრულებელი; ხოლო სხვა პოზიციით, რომელიც ქმედების განხორციელების სტადიაზე ობიექტურ მონაწილეობას მოითხოვს და ამით, მოქმედებაზე ბატონობის მოძღვრების ვინრო გაგებას უჭერს მხარს, ორგანიზატორი განიხილება მხოლოდ თანამონაწილედ.⁷

ანა კუციას სამაგისტრო ნაშრომი გვიჩვენებს, რომ ამსრულებლობა და თანამონაწილეობა გერმანულ და ქართულ სამართალში ძირითადად მსგავსად არის დარეგულირებული და სამართლის ორივე სისტემაში შუალობითი ამსრულებლობის გამოყენების არეალიც უწყვეტად ფართოვდება. განსხვავება მდგომარეობს დეტალებში, რა დროსაც თვალშისაცემია „ორგანიზატორის“ სამართლებრივი შეფასება, რომელიც ქართული სამართლის მიხედვით უბრალოდ თანამონაწილეა, მაშინ როდესაც მას გერმანული სამართალი, გაბატონებულ მოძღვრებაზე დაყრდნობით, თანაამსრულებლად განიხილავს.

II. იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოსა და გერმანიაში

იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს, თავის სამაგისტრო ნაშრომში, ეხება 2014/2015 სასწავლო წლის მაგისტრანტი სალომე იოსელიანი. როგორც ცნობილია, გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით,

დღემდე არ არის შესაძლებელი იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. გერმანიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის §30-ის მიხედვით გათვალისწინებულია მხოლოდ ფულადი ჯარიმა, როდესაც მისი მმართველი პირები დანაშაულს ჩაიდენენ. ამით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება არა ვინო გაგებით, კრიმინალური უმართლობისთვის, არამედ ფართო გაგებით, მარტივი სამართალდარღვევისთვის. დღემდე ცხარე დისკუსიის საგანია გაერთიანებებისა და კომპანიების „რეალური“ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება. აღსანიშნავია, რომ გერმანიის მეზობელ ქვეყნებში მსგავსი რეგულაციები უკვე არსებობს. 2013 წლის შემოდგომაზე ნორდრაინ-ვერტფალენის ფედერალური მინის იუსტიციის მინისტრმა წარმოადგინა კანონპროექტი „კორპორაციებისა და სხვა მსგავსი გაერთიანებებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღების შესახებ“⁸, რამაც ძალიან მწვავე დისკუსია⁹ გამოიწვია. გერმანიისგან განსხვავებით, ქართველმა კანონმდებელმა იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა 2006 წლის 25 ივნისის კანონით საქართველოს სსკ-ის XVIII თავში გაითვალისწინა (საქართველოს სსკ-ის 107¹-107⁷ მუხლები). როგორც იოსელიანი აღნიშნავს, ამის მიზეზი იყო არა მხოლოდ კორპორაციული დანაშაულების სამართლის საერთაშორისო ტრენდის შექმნა, არამედ განმსაზღვრელი იყო უფრო პრაგმატული საფუძველი და მიზანმიმართული განხილვები. აღსანიშნავია, რომ კორპორაციების დაუსჯელობა მიუღებელ ფაქტად განიხილებოდა, რადგან კომპანიების მიერ ჩადენილი დანაშაულები აზიანებს სახელმწიფოს ინტერესებს და ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს. თუმცა, ქართულ სისხლის სამართლებრივ მეცნიერებაში, ადრეც და დღესაც, აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია იურიდიული პირის სისხლის

⁸ იხ. ბმულზე: <http://www.strafrecht.de/media/files/docs/Gesetzentwurf.pdf>.

⁹ შეად. მხოლოდ Böse, Martin, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft (ZStW) 126 (2014), 132 ff.; Görtz, Laura, Journal der Wirtschaftsstrafrechtlichen Vereinigung e.V. (WiJ) 1/2014, 8 ff.; Hoven, Elisa, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik (ZIS) 2014, 19; Schünemann, Bernd, ZIS 2014, 1 ff.; Waßmer, Martin Paul, in Hoven, Elisa/Kubicicel, Michael (Hrsg.), Das Verbot der Auslandsbestechung, 2016, S. 165, 178 ff.; Zieschang, Frank, GA 2014, 73 ff.

⁷ Waßmer, Martin Paul, in AnwaltKommentar StGB, 2. Aufl. 2015, § 25 Rn. 66 m.w.N.

სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ისევე, როგორც გერმანიაში, უარყოფილია იურიდიული პირების ქმედუნარიანობა, ბრალუნარიანობა და სასჯელუნარიანობა; რადგან იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ არც ბრალეული მოქმედება და არც სასჯელის ზემოქმედების შეგრძნება. ეს დოგმატური კრიტიკა, იოსელიანის მიხედვით, ქართული კანონმდებლის მიერ ყურადღების მიღება დარჩენილი. გერმანიის მაგალითი კი გვიჩვენებს, რომ კორპორაციული კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა რეგულაციებითაც არის შესაძლებელი.

საქართველოს სსკ-ის 107¹-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია, როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული იურიდიული პირებისათვის და მათი უფლებამონაცვლებებისთვის. უფლებამონაცვლის შემოღებით ქართული სისხლის სამართალი გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების სამართალზე წინ წავიდა. გერმანიაში კანონმდებელმა რეაგირება მოახდინა მხოლოდ გახმაურებული სამართალდარღვევების დიდი ტალღის აგორების შემდეგ.¹⁰ შედეგად, 30.06.2013 წელს¹¹ გერმანიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის §30-ის შემოღებით შეივსო მანამდე არსებული ხარვეზები.

ქართული სამართალი, საქართველოს სსკ-ის 107¹-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ უკავშირებს იურიდიული პირის „პირველად“ საქმიანობასა და ბრალეულ ქმედებას, არამედ ისევე როგორც, გერმანიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის §30-შია გათვალისწინებული, იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მისი „პასუხისმგებელი პირების“ მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის. აღნიშნული მაშინაც სახეზეა, თუკი ამსრულებელი ფიზიკური პირია, (საქართველოს სსკ-ის 107¹ მუხლის მე-4 ნაწილი) ან თუ იგი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულია (საქართველოს სსკ-ის 107¹ მუხლის მე-5 ნაწილი). სხვაგვარად რომ ვთქვათ, იურიდიული პირის სისხლის სა-

მართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს იმავე დანაშაულისთვის ფიზიკური პირის სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას (საქართველოს სსკ-ის 107¹ მუხლის მე-6 ნაწილი) და ასევე, არ ათავისუფლებს იურიდიულ პირს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან (საქართველოს სსკ-ის 107¹ მუხლის მე-7 ნაწილი). იურიდიული პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ფიზიკური პირის ქმედების მიმართ მართუნარიანობისგან ან ბრალის გამომრიცხველი გარემოებების დადგენის შემთხვევაში (საქართველოს სსკ-ის 107¹ მუხლის მე-8 ნაწილი).

საქართველოს სსკ-ის 107¹-ე მუხლის მე-3 ნაწილი პასუხისმგებელ პირებში გულისხმობს არამარტო იმ პირებს, ვინც ხელმძღვანელ, წარმომადგენლობით ან იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენს, არამედ კონკრეტული იურიდიული პირის საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორანოს წევრებსაც. სხვა პირთა ქმედებები იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს. ისევე, როგორც გერმანიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის §30-ში, ქართული სსკ-ის 107¹ მუხლის მე-4¹ ნაწილის მიხედვით, მხოლოდ მაშინ ეკისრება იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როცა პასუხისმგებელი პირი მისი კონტროლის ან ზედამხედველობის ვალდებულებებს დაარღვევს და დანაშაულის ჩადენას შესაძლებელს გახდის იურიდიული პირის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 107² მუხლის მიხედვით, იურიდიული პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მაშინ, როცა ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სისხლის სამართლის კოდექსში. ღიად რჩება, მაგალითად, დასჯადობის საკითხი ტერორიზმის, ნარკოდანაშაულის, კორუფციის ან ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევაში; ასევე, ფულის გამოძალვის და გათვრებისას. ამის საპირისპიროდ, ისეთი დანაშაულები, როგორცაა, მაგ., კიბერდანაშაული, გარემოს, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ქურდობა, გათვალისწინებული არაა. იოსელიანი იმ შეზღუდვას, რომ საერთაშორისო და ევროპული დირექტივები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ფართო გაგებას აქამდე არ მოითხოვდა, ნაკლებად დამაჯერებლად მიიჩნევს და ეხმიანება გერმანულ სამარ-

¹⁰ შეად. BGH NZWiSt 2012, 187 m. Anm. Waßmer, Martin Paul.

¹¹ კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ მერვე კანონის მე-4 მუხლი, 26.06.2013, BGBl. I S. 1738.

თავს, სადაც ყოველ კორპორატიულ დანაშაულზე საპასუხო რეაქცია არის ფულადი ჯარიმა. ავტორი მიიჩნევს, რომ ქართველმა კანონმდებელმა, იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა გაავრცელოს ყველა დანაშაულზე, რომელიც, პასუხისმგებელი პირის მიერ, იურიდიული პირის სახელით ან მის სასარგებლოდ იქნება ჩადენილი.

საქართველოს სსკ-ის 107³ პირველი ნაწილი იურიდიული პირის სასჯელად აწესებს ლიკვიდაციას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, ჯარიმას და ქონების ჩამორთმევას. საქართველოს სსკ-ის 107³ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილების მიხედვით, ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს, როგორც ძირითადი სასჯელი; ჯარიმა – როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელი; ხოლო ქონების ჩამორთმევა – როგორც მხოლოდ დამატებითი სასჯელი. სასჯელებს ეხება საქართველოს სსკ-ის 107⁴-107⁷ მუხლები. გერმანულ სამართალშიც ვხვდებით სხვადასხვა სანქციებს, მაგრამ ისინი, როგორც ადმინისტრაციულ სამართლებრივი ღონისძიებები (საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, გაუქმება) ისე გამოიყენება. იურიდიულ პირს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სახდელები სისხლისსამართლებრივი სასამართლოების მიერ არ ეკისრება, არამედ შეეფარდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფულად ჯარიმას (საქართველოს სსკ-ის 107⁶ მუხლი). მისი მინიმალური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სსკ-ის 42 მუხლით ფიზიკური პირისთვის გათვალისწინებული ჯარიმის ორმოცდაათმაგი ოდენობით; საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, ისეთ დანაშაულებში, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა იურიდიული პირისათვის განისაზღვრება მინიმუმ 25 000 ლარის ოდენობით და სხვა დანაშაულებზე – 100 000 ლარის ოდენობით. ჯარიმის ოდენობას ადგენს სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დანაშაულის სიმძიმის, მიღებული სარგებლის და იურიდიული პირის ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემოსავლებსა და სხვა გარემოებებს. *იოსელიანი* აკრიტიკებს იმას, რომ ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრული არ არის. რაც შეეხება გერმანულ სამართალს, კორ-

პორაციული ჯარიმის მინიმუმი არის 5 ევრო, ხოლო 30.06.2013-ის შემდეგ ჯარიმის მაქსიმუმი არის 10 მილიონი ევრო (მანამდე იყო 1 მილიონი).

დასკვნის სახით, *იოსელიანი* აღნიშნავს, რომ გერმანული და ქართული სამართალი იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას განსხვავებულად აწესრიგებს. თუკი საქართველო საერთაშორისო სამართალგანვითარებას მისდევს და პრაგმატული შეხედულებების გამო იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს, გერმანული სამართალი, დოგმატური საფუძვლებიდან გამომდინარე, დღემდე ემხრობა ამ საკითხის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით რეგულირებას. საბოლოო ჯამში, ორივე მიდგომა იზიარებს ევროპულ და საერთაშორისო დირექტივებს. თუმცა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ქართულ სამართალში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ კონკრეტულ დელიქტებზეა განერილი, რაც კორპორაციული კრიმინალის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისთვის არ არის საკმარისი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიოლნის უნივერსიტეტის გერმანული სამართლის სამაგისტრო პროგრამა*

სამართლის დოქ. *კარმენ შმიდტი* / პროფესორი, სამართლის დოქ. *მარტინ პაულ ვასმერი*, კიოლნის უნივერსიტეტი

I. პროგრამის ზოგადი აღწერილობა

2007 წელს, თბილისში დაარსდა სასწავლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია გერმანულ სამართალზე. პროგრამის მიზანი ისაა, რომ სტუდენტებს, ვინც საქართველოში ან მეზობელ სახელმწიფოში დაეუფლნენ სამართალმცოდნეობას, შესაძლებლობა მიეცეთ ორი სემესტრის განმავლობაში, ქართველი და გერმანული ლექტიორების ხელმძღვანელობით გაეცნონ გერმანული სამართლის საფუძვლებს და მოიპოვონ მაგისტრის ხარისხი (LL.M.), რომლის მიღებაც უცხოელ სტუდენტებს როგორც წესი მხოლოდ კიოლნის უნივერსიტეტში სწავლით შეუძლიათ.¹ პროგრამაში დასაშვებობისა და გამოცდების ჩატარების წესები განმტკიცებულია როგორც კიოლნის უნივერსიტეტის დებულებებში,² ისე პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის დადებულ თანამშრომლობის შეთანხმებაში.

სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობისთვის პირმა უნდა დაადასტუროს, რომ მას სამართალმცოდნეობის მიმართულებით დამთავრებული აქვს 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა ან მინიჭებული აქვს გერმანიის „პირველ იურიდიულ გამოცდასთან“ გათანაბრებული დიპლომი. განმც-

ხადებელს ასევე მოეთხოვება გერმანული ენის სათანადო დონეზე ცოდნა. სტუდენტის პროგრამაზე დაშვების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ხოლო მათი შერჩევის პროცესში ერთვება პროგრამის ხელმძღვანელი ან სხვა გერმანელი იურისტი. იმისთვის, რომ სტუდენტი მეორე სემესტრში დაიშვას კიოლნის უნივერსიტეტში, მას პირველ სემესტრში დაგროვებული უნდა ჰქონდეს სულ მცირე 12 კრედიტი, რაც შესაძლებელია განვიღო საგნებში გამოცდების ჩაბარებით.

სამართლის საფუძვლებისა და იურიდიული ტერმინოლოგიის გარდა, სტუდენტები შეისწავლიან სამართლის სამ ძირითად დარგს – სამოქალაქო სამართალს, სისხლის სამართალს და საჯარო სამართალს. შესაძლებლობის ფარგლებში, მოხდება საერთაშორისო და ევროპული სამართლის მნიშვნელოვან საკითხებზე და ამ დარგების ამჟამინდელი განვითარების შესახებ მსჯელობა. პროგრამის ყველა ლექცია მიმდინარეობს გერმანულ ენაზე, ასევე გერმანულად ბარდება ყველა გამოცდა, შესაბამისად, სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს კიოლნის უნივერსიტეტის ენის ცოდნის იმ მოთხოვნებს, რომელიც გათვალისწინებულია მაგისტრატურის უცხოელი სტუდენტებისათვის (DSH დონე: გოეთეს ინსტიტუტის სერთიფიკატი C1, TestDaF – დონე 3, OnDaF – დონე B2). ვინაიდან, სწავლის დაწყებისას აღნიშნულ დონეს მხოლოდ სტუდენტთა მცირე ნაწილი ფლობს, პროგრამა ითვალისწინებს გამონაკლისს. ამისათვის სტუდენტმა უნდა დაადასტუროს გერმანული ენის სულ მცირე B2 დონეზე ცოდნა და ამასთანავე, უნდა არსებობდეს მოლოდინი იმისა, რომ აღნიშნული სტუდენტი შეუფერხებლად მიიღებს ლექციებში მონაწილეობას, ჩაბარებს გამოცდებს და სწავლის პერიოდში მიაღწევს DSH-ს დონეს.

სტუდენტებს პირველი სემესტრში „Flying Faculty“-ის ფარგლებში თბილისში ლექციებს ნაუკით-

* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა ხატია თანდილაშვილმა.

¹ სასურველი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდებზე: https://www.tsu.ge/ge/faculties/law/study_programs/ma/nbd019uvqjjeqkewp; <https://www.tsu.ge/en/faculties/law/31q9jq4y4v9quxjy0/cw8jnjnojvsvrj1x>; <https://www.tsu.ge/ge/faculties/law/news/BhIXJ-FtFMwVcLx9d/?p=1>.

² დებულება უნივერსიტეტში მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ და კიოლნის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის საგამოცდო დებულება იმ იურისტებისათვის, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ უცხოეთში; ორივე აქტის ტექსტის ნახვა 29.06.2009 წლის მდგომარეობით, შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://www.zib.jura.uni-koeln.de/llm.html>

ხავენ კიოლნის უნივერსიტეტის ლექტორები, მაგრამ რადგან საქართველოსა და გერმანიის უნივერსიტეტების სემესტრული პერიოდი ერთმანეთს ემთხვევა, გერმანელი ლექტორები ლექციებს წაიკითხავენ ბლოკ-კურსის სისტემით, ხოლო ლექციების დანარჩენ პერიოდს, გერმანელ ლექტორებთან შეთანხმებით, გაუძღვებიან ის ქართველი ლექტორები, რომლებიც სათანადო ცოდნას ფლობენ გერმანულ სამართალში. სტუდენტები მეორე სემესტრს გაატარებენ კიოლნის უნივერსიტეტში, სადაც მათ სავალდებულო საგნებთან ერთად შეეძლება სხვა არჩევითი საგნების გავლა და ენის კურსების მეშვეობით გერმანული ენის ცოდნის გაღრმავება.

გარდა ამისა, სტუდენტებს ევალებათ გერმანულ ენაზე, მათთვის შეთავაზებულ თემაზე სამაგისტრო ნაშრომის დაწერა ათი თვის განმავლობაში. თუ სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომში მიიღებს გამსვლელ ქულას და ამასთან ერთად იგი გამოცდების ჩაბარების გზით დააგროვებს 60 კრედიტს, მაშინ მას მიენიჭება კიოლნის უნივერსიტეტის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. კრედიტების აღიარების ევროპული სისტემით (ECTS), მოცემული პროგრამის შეფასებების აღიარება შესაძლებელია თბილისის სამაგისტრო პროგრამაში, შესაბამისად, სწავლის გაგრძელების შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება ერთდროულად ორი მაგისტრის დიპლომის მიღება.

კიოლნის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ ცენტრალურ ქვაკუთხედს ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ეს სამაგისტრო პროგრამაც უკვე დროში გამოცდილი და ტრადიციად ქცეული საერთაშორისო აკადემიური გაცვლითი პროგრამების ნაწილია. პროგრამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ ფაკულტეტს, მის ორგანიზებას კი ახორციელებს აღმოსავლეთ ევროპის სამართლისა და შედარებით სამართლის ინსტიტუტი. მეორე სემესტრში კიოლნის უნივერსიტეტში სტუდენტების მიღებასა და ჩარიცხვაზე ზრუნავს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრი (ZIB) და „საერთაშორისოზე“ პასუხისმგებელი მე-9 დეპარტამენტი; ხოლო გერმანული ენის დიაგნოსტიკურ ტესტს³ და შემდგომ სავალდებულო სწავლებას ახორციელებს გერმანულის – როგორც უცხო ენის სწავლების მიმარ-

თულება; საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრი კი სპეციალურად უცხოელი სტუდენტებისათვის აყალიბებს ლექციათა სამუშაო ჯგუფებს.

პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD), ხოლო ნაწილობრივ კი – პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ. კიოლნის უნივერსიტეტის ლექტორების მგზავრობის, კოორდინატორი გერმანელი ტუტორების თბილისში დარჩენისა და ასევე ნაწილობრივ, ქართველი სტუდენტების გერმანიაში ცხოვრების ხარჯები იფარება DAAD-ს სახსრებით, რომელიც სპეციალურად გამოყოფილია უცხოეთში გერმანულენოვანი სასწავლო პროგრამების დასაფინანსებლად. ორივე უნივერსიტეტი პროგრამას უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალით და უნივერსიტეტებში სასწავლო სივრცის გამოყოფით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აფინანსებს გერმანული ენის მოსამზადებელ კურსებს, ხოლო კიოლნის უნივერსიტეტი გერმანულის ენის დიაგნოსტიკურ ტესტსა და ენის კურსებს გერმანიაში. კიოლნის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თბილისში ცხოვრებას ფინანსურად უზრუნველყოფს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ის სტუდენტები კი, რომლებიც არ ფინანსდებიან DAAD-ს მიერ, გერმანიაში ცხოვრებისათვის სტიპენდიას მიიღებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

ამ დრომდე სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები, ამათგან უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ენის არასათანადო ცოდნის გამო პროგრამაში ვერ ერთვებოდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები. ამჯერად კი პარტნიორი უნივერსიტეტები მეზობელი სახელმწიფოების უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებსაც აძლევენ პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობას, თუ ისინი დააკმაყოფილებენ პროგრამაში მიღების წინაპირობებს. სასწავლო პროგრამა შედგება მაშინ, თუ სულ მცირე 10 ღირსეული სტუდენტი გააკეთებს განაცხადს. დღევანდელი მდგომარეობით, სამაგისტრო პროგრამამ გამოუშვა სტუდენტების შვიდი ნაკადი; საბოლოო ჯამში კი 68 სტუდენტს მიენიჭა კიოლნის მაგისტრის ხარისხი (LL.M). სტუდენტების მე-8 ნაკადი პროგრამას დაამთავრებს სამაგისტრო ნაშრომების ჩაბარების შემდგომ, 2016 წლის შემოდგომაზე ან არაუგვიანეს

³ ტერმინი „დიაგნოსტიკური ტესტი“ გამოიყენება ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის აღსანიშნავად.

2017 წლის გაზაფხულზე. პროგრამის წარმატებით დამთავრება საგრძნობლად ზრდის დასაქმების შანსებს საქართველოს სამუშაო ბაზარზე. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ პროგრამის არაერთმა კურსდამთავრებულმა შეიქმნა წარმატებული კარიერა; თითქმის ყველამ კი მალევე დაიწყო მუშაობა სასამართლოებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში, მათი განათლების შესაბამის თანამდებობებზე.

II. სისხლის სამართლის პროგრამა

სტუდენტები ორ სემესტრიანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სისხლის სამართლის მიმართულებით ეუფლებიან სხვადასხვა საგნებს, რომლებიც პროგრამის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. კომპეტენციების სისტემაში წოდებული როგორც „გერმანული სამართლის მთლიანი მიმოხილვა“ – სისხლის სამართალი შეადგენს დაახლოებით 25 პროცენტს, ხოლო მთლიან სასწავლო პროგრამაში სულ მცირე 10 პროცენტს. სისხლის სამართლის ლექციები ორიენტირებულია იმ სამართლებრივი საკითხების განხილვაზე, რომლებსაც კიოლნის უნივერსიტეტის სტუდენტები გადიან თავდაპირველ წლებში. ლექციების მიზანია, სტუდენტები დაეუფლონ არამხოლოდ სისხლის სამართლის საფუძვლებს, არამედ ისწავლონ როგორც კაზუსების დამოუკიდებლად ამოხსნა, ისე სისხლისსამართლებრივი რისკების შეფასება. სალექციო პერიოდი თითოეულ სემესტრში მოიცავს 15 კვირას. კრედიტების მინიჭება ხდება მხოლოდ მუდმივი და აქტიური მონაწილეობის ხარჯზე. თემების განსაზღვრა და საგამოცდო შედეგების, განსაკუთრებით – წერიტი ფინალური გამოცდების (Abschlussklausuren), ზეპირი გამოცდებისა და სამაგისტრო ნაშრომების შეფასება წარმოადგენს კიოლნის უნივერსიტეტის გამომცდელების კომპეტენციას.

პირველ სემესტრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიოლნის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორები ერთობლივად უძღვებიან ლექციას სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, სადაც უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილებულია გერმანული სისხლის სამართლის საფუძვლებზე. ზოგადი ნაწილის პროგრამაში მთავარი ადგილი უკავია ისეთ საკითხებს, როგორცაა დანაშაულის შემადგენლობა, მართლ-

წინააღმდეგობა, ბრალი და შეცდომა. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი კი პირველ რიგში ეთმობა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. დამატებით, სტუდენტებს მოეთხოვებათ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა, სადაც ხდება კაზუსის ამოხსნის მეთოდის სწავლება და გამოცდისათვის ინტენსიური მომზადება. სამუშაო ჯგუფებს ხელმძღვანელობენ ქართველი და გერმანელი ტუტორები.

მეორე სემესტრში, რომელიც ტარდება კიოლნის უნივერსიტეტში, ქართველი სტუდენტები, როგორც ფაკულტეტის ყველა სხვა სტუდენტი, ესწრებიან ლექციას „სისხლის სამართალი II-ის ძირითადი კურსი“, სადაც განიხილება სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილების ძირითადი საკითხები. სასწავლო გეგმაში დანაშაულის ამსრულებლობის და დანაშაულში თანამონაწილეობის, მცდელობასა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან ერთად შეტანილია ისეთი საკითხები, როგორცაა ადამიანის სიცოცხლის, უფლებებისა და თავისუფლებების და სასამართლო სისტემის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. ქართველი სტუდენტები აღნიშნული კურსის გავლით ნაწილობრივ გაიმეორებენ და გაიღრმავებენ თბილისში მიღებულ ცოდნას. ისინი დამატებით მონაწილეობას იღებენ სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფებში, რომელიც სპეციალურად მათთვის იქმნება და ემსახურება გამოცდისათვის ინტენსიურ მომზადებას. აღნიშნულ სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს გერმანელი ტუტორი.

სამაგისტრო ნაშრომის თემები მოიცავს არა მხოლოდ სამოქალაქო და საჯარო სამართალს, არამედ სისხლის სამართალსაც. თანამშრომლობის შეთანხმების თანახმად, სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომით უნდა დაამტკიცოს, რომ მას დამოუკიდებლად შეუძლია არჩეული სპეციალიზაციის სფეროში შემავალი სამეცნიერო საკითხის პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი კუთხით დამუშავება და შედეგების ადეკვატურად წარმოდგენა. სამაგისტრო ნაშრომი მთლიანი პროგრამის 1/3-ს შეადგენს. შესაბამისად, იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სამაგისტროს ნაშრომს სისხლის სამართლის მიმართულებით წერენ, სისხლის სამართალი ჯამში ქმნის მთლიანი სასწავლო პროგრამის 40 პროცენტზე მეტს.

სამაგისტრო თემების დანაწილება, ზედამხედველობა და შეფასება ხორციელდება კიოლნის უნი-

ვერსიტეტის ლექტორების ან გამოცდის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის მიერ. თემები ნაწილდება უკვე პირველ სემესტრში. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის გათვალისწინებულია ათი თვე, ხოლო რაც შეეხება ნაშრომის მოცულობას, იგი არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ნიშანს (ადგილის გამოტოვების ნიშნის გარდა).

შინაარსობრივად, სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს შედარებითსამართლებრივი ხასიათის. სტუდენტებს მოეთხოვებათ ქართული და გერმანული სამართლის მსგავსებებისა და თავისებურებების ანალიზი. ნაშრომში წარმოდგენილი უნდა იყოს არა მარტო ის, თუ როგორი სისხლისსამართლებრივი რეგულაციები არსებობს ორივე სისტემაში, არამედ ის, თუ როგორ ხდება ცალკეული პრობლემური საკითხებისა და ინტერესთა კოლიზიის გადაწყვეტა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული სამართლის სისტემის მონესრიგების საფუძვლების ანალიზს.

დღემდე წარმოდგენილი სამაგისტრო თემების სპექტრი ძალზედ დიდია. ზოგადი ნაწილიდან დამუშავებულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა დანაშაულის მცდელობის დასჯადობა, უვარგისი და აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობა, დანაშაულის ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ბუნება; ასევე იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; ხოლო კერძო ნაწილიდან – ქურდობა, თაღლითობა, ქრთამის აღება და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. ამჟამად მზადდება ნაშრომი, რომელიც ეხება სისხლის სამართალს ინტერენტში ჩადენილ დანაშაულებზე (*Internetstrafrecht*). სისხლის სამართალში დაწერილი სამაგისტრო ნაშრომები საგრძობლად მაღალი ხარისხისაა, ამიტომ შეგვიძლია სხვა პროგრამებსაც თამამად შევადაროთ. საყურადღებოა, რომ „ენის ბარიერი“ არცთუ ისე დაბალია, ამიტომ წარმატებული ნაშრომის დასაწერად საჭიროა ქართული და გერმანული სასამართლო პრაქტიკისა და ლიტერატურის სათანადო მოძიება და დამუშავება.

სამაგისტრო ნაშრომისა და მისი შედეგების გაცნობა, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის, რადგანაც ჯერ კიდევ განვიცდით აღნიშნულ თემებზე შედარებითსამართლებრივი კვლევების ნაკლებობას, მეორე მხრივ კი სტუდენტებს ეძლევათ პიროვნული განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა. არცთუ ისე იშვიათად

სტუდენტებში გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქართულ და გერმანულ სამართლის სისტემებში არსებობს იდენტური პრობლემები, რომელთა გადაჭრის გზები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. აღნიშნული განპირობებულია ძირითადი კონცეფციებისა და წარმოდგენების სხვადასხვაობით. ბევრ სტუდენტს შედარებითსამართლებრივი საქმიანობა შესაძლებლობას აძლევს კრიტიკულად შეისწავლოს პრობლემების გადაჭრის გზები და შემდეგ ერთ სისტემაში გამოყენებული გზები გადმოიტანოს მეორე სისტემაში. ამ თვალსაზრისით, სამაგისტრო თემები ხელს შეუწყობს ორივე სისტემის დახვეწას. იმისათვის, რომ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის მკითხველიც გაეცნოს სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტების წარმატებულ ნაშრომებს, მომავალში დაიწყება მათი გამოქვეყნებაც.